CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 25 თებერვალი, 2009 წელი. №41 (2079) | ფასი 50 თეთრი

ჩრდილოეთ კორეა თანამგზავრის გასაშვებად ემზადება
A7

ანტიუტოპიური ოცნება: სამყარო - 2012
A8



რიოს კარნავალი
A11

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის საფაზლვეო ჯგუფი

"რუსი გენერლები საქართველოში შიდა სიტუაციას ვერარ შეცვლიან"

სერგეი მარკედონოვი

ოლეგ პანფილოვი

დიმიტრი ავალიანი

ხელისუფლების შეცვლის მიზნით საქართველოს წინააღმდეგ რუსეთს ღია სამხედრო აგრესიის შესაძლებლობას რუსი ექსპერტები საეჭვოდ მიიჩნევენ. მათი აზრით, შესაძლოა, ამგვარი სურვილი არსებობს, მაგრამ დღევანდელ ვითარებაში კრემლს დასავლეთთან კონფლიქტი ხელს აღარ აძლევს. თუმცა, მეზობელ სახელმწიფოებში შიდა არეულობების პროვოცირება მოსკოვისთვის დღის წესრიგში ისევ დგას.

გაგრძელება A3 გვერდზე

პოლიტიკური რისკი - ან ყველაფერი ან არაფერი

დათო გამისონია

გაერთიანებულმა ოპოზიციამ გასულ წელს ვერ შეძლო ის, რისი მიღწევაც ახლა ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფებს ცალ-ცალკე სურთ. ალიანსი საქართველოსთვის მოითხოვს, 5 მარტამდე გამოცხადდეს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ რეფერენდუმი, ხოლო რამდენიმე ოპოზიციური პარტია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, 9 აპრილამდე დატოვოს თანამდებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივი საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრებიან. ასე რომ, ოპოზიცია ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ბრძოლაში ულტიმატუმის ფორმებს მიმართავს. შექმნილ ვითარებაზე "24 საათი" მკითხველს ქართველი პოლიტოლოგების მოსაზრებებს სთავაზობს.

საქართველოს ყოფილმა ელჩმა რუსეთში ზურაბ აბაშიძემ 24 საათთან ისაუბრა შექმნილი ვითარებიდან შესაძლო გამოსავალზე. მისი თქმით, აუცილებელია ხელისუფლების მაღალ დონეზე გაიმართოს დიალოგი. თუკი ეს იქნება კარგად მოფიქრებული და კულტურული ფორმით გონივრულად შეთავაზებული, ოპოზიციონერები მასზე უარს ვერ იტყვიან, - აღნიშნა აბაშიძემ. ის ფიქრობს, რომ **ერთი ხელის აკვრით არ შეიძლება რეფერენდუმის მოთხოვნის იგნორირება და იმის თქმა, რომ ეს ყველაფერი არარეალური და მიუღებელია. საჭიროა, ეს არ გახდეს ხელისუფლების განხილვის საგანი. ასევე, ოპოზიციის მხრიდან არ უნდა იყოს მაქსიმალისტური მოთხოვნა. დაახლოება უნდა მოხდეს და მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ქვეყანაში შექმნილია თვისობრივად განსხვავებული ვითარება და ამის გათვალისწინებით საჭიროა რაღაც გამოსავლის გამონახვა.**

გაგრძელება A3 გვერდზე

ტაქტიკური მრავალფეროვნება ოპოზიციაში

ვერიკო თევზაძე

არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთხმად და უპირობოდ მოითხოვს მიხეილ სააკაშვილის გადადგომას. თუმცა ოპოზიციური ძალები მიზნის მისაღწევად სხვადასხვა ტაქტიკას ირჩევენ. როგორც 24 საათს მემარჯვენე მამუკა კაციტაძემ განუცხადა, ყველამ საკუთარი ტაქტიკით უნდა იმოქმედოს. ბოლოს აუცილებლად მოხდება გადაკვეთა საერთო სტრატეგიაში.

ირაკლი ალასანიას ალიანსის მიერ ათდღიანი ულტიმატუმის წამოყენებიდან ერთი დღის შემდეგ, კონსერვატორები ახალი ინიციატივით გამოვიდნენ. ისინი 9 აპრილისთვის გრანდიოზულ საპროტესტო აქციას გეგმავენ და დანარჩენ ოპოზიციურ ძალებს, მთლიანად საზოგადოებას მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. ამასობაში ნინო ბურჯანაძეც გააქტიურდა. დღის მეორე ნახევარში პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა 9 აპრილამდე სააკაშვილის გადადგომა მოითხოვა.

9 აპრილიდან აქციების გამართვის შესახებ განცხადება ჯერ კიდევ 23 თებერვალს, სალომე ზურაბიშვილმა გააკეთა. მეორე დღეს თემა კონსერვატორებმა განავრცეს.

ჩვენ ვაპირებთ, რუსთაველის გამზირზე ვიცხოვროთ, - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე ზვიად ძიძიგურმა. კონსერვატორთა აზრით, ნებისმიერი არჩევნები შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ **სააკაშვილის გადადგომის შემდეგ, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში.**

კახა კუკავასა და ზვიად ძიძიგურის განცხადებით, რუსთაველის პროსპექტზე სააკაშვილის გადადგომის უპირობო მოთხოვნით გრანდიოზული აქცია უნდა მოეწყოს. აქციის მონაწილეები აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე არ დაიშლებიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

CMYK - 1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე პირთა სია

1. **ახალაია გიორგი,** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, კავშირგაბმულობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

2. **ბრიტანჩუკი სოფიო,** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წევრისა და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;

3. **გახოკიძე გიორგი,** დეველოპერული კომპანია V.V.V, გენერალური დირექტორი;

4. **გელოვანი გიორგი,** შპს „კვარციტი", გენერალური დირექტორის მოადგილე კორპორაციულ საკითხებში;

5. **თოდრია ინგა,** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

6. **კვიტაიშვილი კარლო,** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წევრის მოვალეობის შემსრულებელი;

7. **კუბლაშვილი გიორგი,** სატრანსპორტო საექსპედიტორო კომპანია „კავკასტრანსექსპრესი," ექსპორტის გაყიდვების და საერთაშორისო ურთიერობების მენეჯერი;

8. **მოსეშვილი ირაკლი,** საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსი;

9. **ნაკაშიძე ანა,** საკონსულტაციო კომპანია-კერა ჯგუფი, ხელმძღვანელი;

10. **ნონიკაშვილი ზურაბი,** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წევრის მოვალეობის შემსრულებელი;

11. **რუხაძე გიორგი,** საერთაშორისო სახლი, ინგლისური ენის ლექტორი;

12. **სიხარულიძე აკაკი,** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

13. **ფარესაშვილი გრიგოლი,** ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, საორგანიზაციო დირექტორი;

14. **ქეცბაია თამუნა,** თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, შტატგარეშე მოსამსახურე;

15. **ქუთათელაძე დავითი,** დროებით უმუშევარი;

16. **ცინაძე ზაალი,** „ჟურნალი თბილისელები," პასუხისმგებელი რედაქტორი;

17. **ცინცაძე ინგა,** დროებით უმუშევარი;

18. **ხელაძე აკაკი** , კავკასიის უნივერსიტეტი, მენეჯმენტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; კავკასიის ბიზნეს სკოლა, ტრენინგ-პროგრამების მენეჯერი, მენეჯმენტის ასისტენტ-პროფესორი, დირექტორთა საბჭოს წევრი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მენეჯმენტის საფუძვლების და საკადრო რესურსების მართვის ლექტორი;

19. **ხორგუანი ჯემალი,** ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა, შტატგარეშე მოსამსახურე (საბავშვო და ახალგაზრდულ საკითხებში ადგილობრივი პოლიტიკის გამტარებელი);

20. **ჯაველიძე რევაზი,** საქართველოში ამერიკის სავაჭრო პალატის წევრი, საქართველოში საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრი.

მიხეილ სააკაშვილმა დუშეთის რაიონში ახლად გარემონტებული კულტურის ცენტრი გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დუშეთის რაიონში კულტურის ახლად გარემონტებული ცენტრი გახსნა. "მე არც ერთი ჩვენი დაპირება არ დამვიწყებია. მთავრობის 50-თვიანი პროგრამის ფარგლებში მე დაგპირდით გაზს, წყალს, გზას, გარემონტებულ სკოლებს და, რაც მთავარია, დასაქმებას და ამ დაპირებას ვასრულებ კიდეც," - განაცხადა პრეზიდენტმა დუშეთის რაიონში კულტურის ახლად გარემონტებული სახლის გახსნისას. ამასთან, მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მისი პრეზიდენტობის ვადის დასრულებამდე საქართველოში არსებულ ყველა სოფელში უახლესი ტექნოლოგიებით ბეტონის გზა დაიგება და ამ პროცესში მხოლოდ ადგილობრივი მოქალაქეები დასაქმდებიან. პრეზიდენტმა დუშეთში არსებულ წყლის პრობლემაზეც გაამახვილა ყურადღება. "დუშეთში წყლის პრობლემა თითქმის მოგვარებული იყო, თუმცა ოკუპანტებმა ახალგორის რაიონი დაიკავეს, სადაც სათავო ნაგებობა მდებარეობს. მიუხედავად პრობლემებისა, ჩვენ აუცილებლად ავასრულებთ დანაპირებს და დუშეთში წყლის პრობლემაც მოგვარდება," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პირველი

გამოსავალი კრემლზე ზეწოლაშია

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აკაკი მინაშვილი და დავით დარჩიაშვილი ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის კომიტეტის მიერ რამდენიმე დღის წინ მიღებული რეკომენდაციების, აგრეთვე ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე რუსეთის მიერ წარმოდგენილი "ევროპის ახალი უსაფრთხოების სტრუქტურის" შესახებ დეტალურად საუბრობენ. ფრაქცია "ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის" წარმომადგენელთა მტკიცებით, დასავლეთის მხრიდან სულ უფრო ძლიერდება ოფიციალურ მოსკოვზე პოლიტიკური ზეწოლა. ამის თქმის საფუძველს მმართველი პარტიის ლიდერებს ევროკავშირსა და ეუთოში გამართული დებატები აძლევს.

მინაშვილის თქმით, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე, ევროპის ახალი უსაფრთხოების რუსული მოდელის განხილვისას, მის ავტორებს მკაფიოდ განუცხადეს, რომ ახალი გამოწვევები, რომელზეც დღეს რუსეთი აპელირებს, თავად რუსეთის მხრიდან არის გამოწვეული.

"ევროპული სახელმწიფოების წარმომადგენელთა თქმით, არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ ახალი უსაფრთხოების სისტემის გაზიარების შემთხვევაში, რუსეთი მის მიერვე შეთავაზებულ ნორმებს არ დაარღვევს. ამასთან, ეუთო-ში ცალსახად აღინიშნა, რომ უსაფრთხოების ნებისმიერი სტრუქტურა დაფუძნებული უნდა იყოს სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის პრინციპზე და ეს იდეა გადახედვას არ ექვემდებარება. ასევე ცალსახად დაიგმო რუსეთის შეთავაზება ე.წ. გავლენის სფეროების დაკანონების შესახებ," - განაცხადა გუშინ გამართულ ბრიფინგზე მინაშვილმა.

ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის კომიტეტის მიერ მიღებული განცხადების დეტალებზე საუბრისას კი დავით დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ კომიტეტის განცხადება ცალსახად გამოხატავს საქართველოში განვითარებული მოვლენებისადმი მთელი ევროკავშირისა და ევროპარლამენტის დამოკიდებულებას.

"განცხადებაში დაგმობილია აგვისტოს აგრესია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება და რუსეთის მხრიდან სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობის ფაქტი," - აცხადებს დარჩიაშვილი, რომლის თქმით, ევროპარლამენტი აღნიშნული განცხადებით გამოხატავს სრულ მხარდაჭერას იმ ახალი ინიციატივის მიმართ, რომელსაც "აღმოსავლეთის პარტნიორობა" ჰქვია.

ქართველი პარლამენტარები რუსეთისგან მოსალოდნელი მორიგი სამხედრო თავდასხმის თავიდან აცილების მექანიზმს ევროპის მხრიდან კრემლზე ზეწოლაში ხედავენ.

საკუთარი ინფორმაცია

კრიმინალის პოლიტიზირება დაუშვებელია

დღეს, ერევანში, საქართველოს საელჩოსთან საპროტესტო გამოსვლა გაიმართება. ამის მიზეზი კი ერთი თვის წინ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ორი სომეხი აქტივისტის დაკავებაა. ამ ფაქტზე ოფიციალური კომენტარი გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა.

ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი გრიგორ მინასიანი და საქველმოქმედო ორგანიზაცია "შარლ აზნავურის" თავმჯდომარე სარქის აკოპჯანიანი ქართველმა სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის მზადებაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და ჯაშუშობაში ამხილეს.

სააგენტო "ახალი ამბები - სომხეთის" ანალიტიკური ცენტრის "მიტკის" ექსპერტის ედვარდ აბრამიანის განცხადებით, დღეს, ერევანში, საქართველოს საელჩოს შენობასთან, დაკავებული სომეხი აქტივისტების გათავისუფლების მოთხოვნით, საპროტესტო აქცია გაიმართება. აბრამიანის თქმით, ერევნის მერიამ უკვე გასცა აქციის გამართვის ნებართვა.

სომეხი აქტივისტების დაკავების ფაქტს საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყებაც ეხმაურება. გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ დაკავებულმა პიროვნებებმა დანაშაული ჩაიდინეს და მათი დაკავების მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

"ისინი დაკავებულნი არიან არა იმიტომ, რომ სომხები არიან, არამედ იმიტომ, რომ დანაშაული ჩაიდინეს. მათი უფლებები სრულად არის დაცული და ადვოკატები პროცესში სრულუფლებიან მონაწილეობას იღებენ. მათ ადგილზე ქართველები, კენიელები ან ტანზანიელები რომ ყოფილიყვნენ, მათაც დააკავებდნენ," - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

მისივე თქმით, ყველაფერი ისე გადაწყდება, როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოს შეშვენის. ვაშაძე იქვე დასძენს, რომ **"ე.წ. "ჯავახეთის პრობლემა" საქართველოში არ არსებობს".**

"რეგიონში არსებობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელიც სამცხე-ჯავახეთში ისევეა, როგორც ქვეყნის ნებისმიერ სხვა რეგიონში. პრობლემა კიდევ იმაშია, რომ საქართველოს სომხური წარმომავლობის მოქალაქეების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ ტემპებით არ ხდება, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას სურს. საქართველოს ხელისუფლების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში ეროვნული უმცირესობების ყველა უფლება იყოს დაცული," - განმარტავს გრიგოლ ვაშაძე.

საკუთარი ინფორმაცია

ვიდეოთვალ(თვალ)ი - სამოქალაქო კონტროლის ნაცვლად

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

მომავალი კვირიდან, ქუთაისის თვითმმართველობის შენობაში რიგით მოკვდავთა შესვლა აიკრძალება. საჯარო დაწესებულების წიაღში მოხვედრა ამიერიდან მხოლოდ ამავე დაწესებულების თანამშრომლებს შეეძლებათ. აღნიშნულ შენობაში ამ დროისთვის ქუთაისის საკრებულო, მერიის აპარატი, მერიის რამდენიმე სამსახური და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაა განთავსებული.

ქუთაისის და იმერეთის რეგიონის არჩეული თუ დანიშნული საჯარო მოხელეები სამსახურებრივ საქმიანობას ამომრჩეველთა თვალთახედვის მიღმა, ჩაკეტილ სივრცეში განახორციელებენ. სამაგიეროდ, მათი „ქცევის ნორმებს" შენობაში დამონტაჟებული ვიდეოთვალები გააკონტროლებს. ვიდეოთვალის მეთვალყურეობას კი შენობაში განთავსებული უწყებების აპარატების უფროსები გაწევენ.

ჯემალ ჯანელიძე პენსიონერია. ამბობს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მთავარი საზრუნავი მოსახლეობის პრობლემების მოგვარება უნდა იყოს. ამისთვის კი ხელისუფლებას მუდმივი კონტაქტი უნდა ჰქონდეს ხალხთან და რაც შეიძლება ხშირად ხვდებოდეს მოსახლეობას.

ახლა რომ გინდოდეს, მერსაც ვეღარ შეხვდები, იმხელა დაცვა დააყენეს. ასეთი ბიუროკრატია შეიძლება?" - ამბობს ჯემალ ჯანელიძე.

ქუთაისის მერმა მოქალაქეების მიღებისა და მათთან შეხვედრისთვის კვირაში ერთი დღე გამოყო, თუმცა სწორედ მოქალაქეთა მომსახურებისთვის ის, ხელფასის სახით, თვეში 2480 ლარს იღებს. ამას გარდა, ემსახურება მანქანა, საწვავის საკმაოდ სოლიდური ლიმიტით.

კვირაში ერთხელ ქალაქის თავკაცს საშუალოდ 15 მოქალაქის მიღებისთვის აქვს გამოყოფილი დრო, რადგან ასეთი აუდიენციისთვის 2-3 საათია განსაზღვრული. თუმცა, როგორც მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში გავარკვიეთ, საჭიროების შემთხვევაში ქალაქის პირველ პირს მოქალაქეებისთვის უფრო მეტი დროის გამონახვაც შეუძლია: მაგალითად, გასულ პარასკევს ნუგზარ შამუგიას 28 მოქალაქის მიღება მოუხერხებია.

მოქალაქეებისთვის თვითმმართველობის შენობის პირველ სართულზე რამდენიმე ოთახია გამოყოფილი. ამ ოთახებში წერილობით განცხადებებს იბარებენ. როგორც წესი, მოქალაქეთა უმეტესობა თვითმმართველობისგან სოციალური სახის დახმარებებს ითხოვს. მაგალითად, გასულ წელს მერიაში შესული 7000-ზე მეტი განცხადებიდან 5249 სწორედ ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქალაქო სამსახურს დაეწერა. ამის მიუხედავად, ქუთაისის თვითმმართველობაში პრიორიტეტულად კვლავაც ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას აცხადებენ და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არგუმენტად მოსახლეობის შეკვეთას ასახელებენ (?!).

ქუთაისის მერიაში ირწმუნებიან, რომ შენობაში თავისუფლად შესვლის აკრძალვით მოსახლეობა არ დაზარალდება და მხოლოდ საჯარო მოხელეების კონტროლი გაძლიერდება.

ვიდეოთვალით დაფიქსირდება თითოეული თანამშრომლის შენობაში შესვლა-გასვლის დრო. ამით გავაკონტროლებთ, როგორ მუშაობს ესა თუ ის თანამშრომელი, რამდენ დროს უთმობს თავის სამუშაოს და ა.შ. სამსახურის არასაპატიო მიზეზით რამდენჯერმე გაცდენის შემთხვევაში, მოხდება თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება," - ამბობს ქუთაისის მერიის აპარატის უფროსი თენგიზ თოფურიძე. ცნობისათვის, ქუთაისის თვითმმართველობაში ამ დროისთვის 454 ადამიანია დასაქმებული და მათი ხელფასი 350-დან 2500 ლარამდე მერყეობს. თვითმმართველობის თანამშრომლები კონტროლის გაძლიერებისა და მოსალოდნელი სანქციების შესახებ ღიად საუბარს ერიდებიან. პირად საუბარში კი აცხადებენ, რომ შენობაში შესვლა-გასვლის მაჩვენებლებით თანამშრომელთა საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრა შეუძლებელი იქნება.

ქუთაისის მერიის აპარატის უფროსის თქმით, ელექტრონული საშვთა ბიუროსა და ვიდეოთვალების მონტაჟი იმითაც იყო აუცილებელი, რომ თურმე ამ დრომდე თვითმმართველობის შენობიდან სხვადასხვა სახის ნივთები და ინვენტარი იკარგებოდა და საჭირო გახდა უსაფრთხოების ზომების მიღება.

ახალი წესებით", თვითმმართველობის შენობაში, მოქალაქეებთან ერთად, მედიის წარმომადგენლების თავისუფლად შესვლაც იკრძალება. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ჟურნალისტი ან მოქალაქე ტელეფონით წინასწარ უნდა შეუთანხმდეს იმ საჯარო პირს, რომელთან შეხვედრაც ესაჭიროება, შემდეგ ამ პირმა საშვის დასაშვებად უნდა მიმართოს დაცვის თანამშრომელს და ამის შემდეგ შედგება წინასწარ შეთანხმებული აუდიენციაც. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იგივე პროცედურის გავლა იქნება საჭირო საკრებულოს სხდომაზე ან მერიის თათბირზე დასასწრებად, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით საჯაროა და ღიაა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ქუთაისის თვითმმართველობის შენობაში დაცვის ახალი სისტემის მონტაჟი 91 ათასი ლარი დაჯდა. ეს თანხა მერიას „ვითიბი ბანკმა" უსახსოვრა იმ ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ, რომლითაც ქუთაისის საბიუჯეტო თანხების ბრუნვა წელს სწორედ აღნიშნული ბანკის მეშვეობით განხორციელდება. შარშან თვითმმართველობას ანალოგიურ მომსახურებას სახალხო ბანკი" უწევდა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"რუსი გენერლები საქართველოში შიდა სიტუაციას ვეღარ შეცვლიან"

პირველი გვერდიდან

"არა მგონია. რაციონალური თვალსაზრისით ამას აზრი არა აქვს," - ასე აფასებს "24 საათთან" საუბარში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ახალი აგრესიის პერსპექტივებს რუსეთში მოქმედი პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ცენტრის ექსპერტი სერგეი მარკედონოვი.

მისი თქმით, **"სააკაშვილის ჩამოგდება ქართველებს ვერ აიძულებს, უარი თქვან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე. იმავდროულად, ეს დასავლეთთან ურთიერთობებს გააფუჭებს. ეს საკითხი კი რუსეთს აღელვებს, რაც მიუნხენის კონფერენციამაც დაადასტურა."**

რუსეთს არ უნდა, რომ იგი მსოფლიოში რევიზიონისტურ ძალად განიხილონ, - აცხადებს ექსპერტი. მისი მტკიცებით, სინამდვილეში რუსეთის პოლიტიკა ყველა კონფლიქტურ რეგიონში სტატუს კვოს შენარჩუნებისკენ არის მიმართული, ხოლო აგვისტოს ომი **"რეაქცია იყო სააკაშვილის ოთხწლიან პოლიტიკაზე, რომელიც სტატუს კვოს დანგრევას შეეცადა."**

იმავდროულად, ექსპერტი მიიჩნევს, რომ ფინანსური კრიზისის გამო რუსეთი აშშ-სთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ცდილობს, შესაბამისად, სიტუაციის ახალი გართულება კრემლს ხელს არ აძლევს. **"ასეთი სურვილი რომ ყოფილიყო, თბილისს აგვისტოშივე აიღებდნენ,"** - აცხადებს სერგეი მარკედონოვი.

თავის მხრივ, რუსეთში მოქმედი ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრის დირექტორი ოლეგ პანფილოვიც, "24 საათთან" საუბრისას, აცხადებს, რომ რუსეთის ახალი სამხედრო შეტევა საქართველოზე ნაკლებად რეალურია. **"ვფიქრობ, ზოგიერთი გენერლის ტვინში ასეთი სურვილი მართლაც არსებობს,"** - ამბობს პანფილოვი, თუმცა, იმასაც აღნიშნავს, რომ აგვისტოს შემდეგ გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვალა.

მას შემდეგ, რაც აშშ-სა და საქართველოს შორის დაიდო ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, საქართველოზე ღია სამხედრო შეტევა შესაძლოა რუსეთისა და დასავლეთის სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს, - მიიჩნევს პანფილოვი. აქედან გამომდინარე, **"რუსი გენერლები საქართველოში შიდა სიტუაციას ვეღარ შეცვლიან"** და მათი გეგმები მხოლოდ სურვილად დარჩება.

იმავდროულად, ოლეგ პანფილოვი მიიჩნევს, რომ რუსეთის ხელისუფლებისთვის რადიკალური სცენარი შესაძლოა ერთადერთი ხერხი აღმოჩნდეს, მზარდი ეკონომიკური სირთულეების პირობებში, საზოგადოებაზე გავლენის შესანარჩუნებლად, რომელიც **"აგვისტოს შემდეგ უფრო აგრესიული გახდა."**

თუმცა, მისი ვარაუდით, რუსეთმა შესაძლოა, სიტუაცია არა საქართველოში, არამედ უკრაინაში გაამწვავოს. **"ამჟამად ყირიმში დაძაბული სიტუაციაა და შეიძლება რუსეთმა შიდა კონფლიქტის პროვოცირება სწორედ ამ რეგიონში სცადოს,"** - აცხადებს ოლეგ პანფილოვი.

პოლიტიკური რისკი - ან ყველაფერი ან არაფერი

ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ, თუნდაც აგვისტოს თემის განსახილველად, დიალოგისთვის რაღაც ფორმა უნდა გამოინახოს. მას სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია იმ საკითხების განხილვა, რაც ოპოზიციას სურს და ხელისუფლებას - არა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მათ შორის დიალოგი ვერ მოხერხდა, **თუ ერთი თავისას გარეკავს და მეორე თავისას, მიჭირს თქმა, თუ რამდენად შეიძლება ამას მოჰყვეს ვითარების გამწვავება, მაგრამ, სამწუხაროდ, რა თქმა უნდა, სიტუაციის გართულებაა მოსალოდნელი,** - განმარტა ზურაბ აბაშიძემ. აბაშიძემ ოპოზიციის გადაჯგუფებებზეც ისაუბრა. **ოპოზიცია ჭრელია და არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც ყველა გაერთიანდეს,** - განმარტა ყოფილმა ელჩმა.

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის დირექტორ დავით აფრასიძეს მიაჩნია, რომ ოპოზიციის არჩეული გზა არ არის პროდუქტიული. **ულტიმატუმებმა არც შარშან და არც არასდროს შედეგი არ მოიტანა. არა მგონია, რომ ეს ახლაც სწორი არჩევანი იყოს, თუნდაც პრაგმატულად იმ მიზნების მისაღწევად, რასაც ოპოზიცია აყენებს,** - აღნიშნა აფრასიძემ. მისი თქმით, ასეთი დამოკიდებულებით მოსალოდნელია სიტუაციის უკიდურესად გამწვავება. **თუკი ხელისუფლების ნაბიჯს ოპოზიცია შესაბამისი მოქმედებით არ უპასუხებს, მაშინ ის თავს გაიკოტრებს. ასე რომ, ულტიმატუმით თვითონ მიდიან იმ მდგომარეობამდე, როცა გარდაუვალი იქნება კონფრონტაცია,** - მიიჩნევს აფრასიძე. პოლიტოლოგის აზრით, დაძაბულობის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ 2007 წლის ნოემბრის მოვლენებამდე მივიდეთ. ბევრი კითხვა

დავით აფრასიძე.

არსებობს, თუ რა მოიტანა ამ ნოემბრის მოვლენებმა ქვეყნისთვის ან იმავე ხელისუფლებისთვის თუ ოპოზიციისთვის. **2007 წლის შემდეგ, თუნდაც პოსტფაქტუმ, ლოგიკურად რომ დავსვათ კითხვა - ოპოზიციისთვის როდის სჯობდა არჩევნების ჩატარება? აქედან გამომდინარე, სულ უახლოესი ისტორია რაღაც გაკვეთილს მაინც უნდა გვაძლევდეს. რატომ ჰგონიათ, რომ გამწვავება მაინცდამაინც მათ ინტერესებშია - პირადად მე ეჭვი მეპარება,** - განმარტა დავით აფრასიძემ.

კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტის დირექტორმა ისაუბრა შექმნილი ვითარიდან შესაძლო გამოსავლის გზებზეც. მისი თქმით, გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში დიალოგი გაცვეთილი ცნებაა, მაგრამ ნორმალური პოლიტიკისთვის ეს არის რესურსი. **ამის გაკეთებას ბოლო წლების განმავლობაში არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ ცდილობენ. ნორმალურ პოლიტიკაში ვგულისხმობ თემატიკაზე ორიენტირებულ, წყნარ მსჯელობას, როცა საკითხი ასე არ დგას - ან ყველაფერი ან არაფერი. მსგავს პოლიტიკას იმავე ოპოზიციისთვის ძალიან დიდი რისკები ახლავს. თუკი არაფერი მოხდა, მაშინ ისინი ყველაფერს დაკარგავენ,** - განუცხადა მან 24 საათს .

აფრასიძის აზრით, ცვლილებების რეალური გზა არის თვითონ ცვლილებების ნაბიჯ-ნაბიჯ მომზადება, ყოველდღიურ საკითხებზე ყურადღების მიქცევა და საკანონმდებლო საკითხებზე ორიენტირება. პირველ რიგში, უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები საარჩევნო კანონმდებლობის საკითხზე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ან თუნდაც იყოს მსჯელობა ვადამდელ არჩევნებზე. **მაგრამ არა ასეთი ტონით: ათი დღის შემდეგ შენ თუ არ დანიშნავ რეფერენდუმს... ამაზე მსჯელობა უნდა იყოს, როგორც ერთ-ერთ შესაძლებლობაზე. 2013 წლამდე ძალიან ბევრი არჩევნები შეიძლება შედგეს. ვადამდელი არჩევნები თვითმიზანი არ უნდა იყოს, ამ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური გარემოს გაუმჯობესება და გაჯანსაღება. მაგრამ, როცა პირდაპირ წყალგამყოფის საკითხი დგება, არა მგონია, რომ იმავე ოპოზიციისთვის ეს მომგებიანი იყოს,** - განმარტა მან. აფრასიძის თქმით, საქართველოს დღეს არ სჭირდება პოლიტიკური ტემპერატურის აწევა. **პირიქით, ის უნდა დავწიოთ. რადგან სხვა შემთხვევაში ჩვენ ნულჯამიან თამაშზე მივდივართ - ან მე ან ის. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ამას ვუყურებ როგორც a-სა და b-ს შორის ადგილების მონაცვლეობას,** - აღნიშნა დავით აფრასიძემ.

ტაქტიკური მრავალფეროვნება ოპოზიციაში

პრესკონფერენციის ორგანიზატორთა განმარტებით, მიმდინარე კვირის ბოლომდე 9 აპრილის აქციაში მონაწილეობის შესახებ განცხადებას 10-12 ოპოზიციური პარტია გააკეთებს.

გუშინვე გაირკვა, რომ 9 აპრილის აქციას ხალხის პარტიაც უერთდება. ამის გამო პარტიის ლიდერმა კობა დავითაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

კობა დავითაშვილი და კონსერვატორები მთელ საზოგადოებას აქტიურობისკენ მოუწოდებენ. კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი ითანამშრომლებენ ყველა ძალასთან, რომელიც 9 აპრილის აქციას შეუერთდება. ამ მხრივ კონსერვატორები განსაკუთრებულ აქცენტს ირაკლი ალასანიას, "მემარჯვენეებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსის მისამართით აკეთებენ.

ალიანსის წარმომადგენელთა კომენტარებიდან ირკვევა, რომ მათ ჯერჯერობით არა აქვთ პასუხი კითხვაზე - მიიღებენ თუ არა მონაწილეობას 9 აპრილის აქციაში. **ჩვენთვის ყოველდღე 9 აპრილია. ყოველდღე დაკავებული ვართ იმით, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მშვიდობიანად გავისტუმროთ. შესაბამისად, ყოველდღე ვიმოქმედებთ იქიდან გამომდინარე, თუ რას მივიჩნევთ უფრო ეფექტურად,** - განუცხადა 24 საათს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

როგორც ჩვენთან საუბრისას ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ დასძინა, ოპოზიციაში სტრატეგიასთან მიმართებით სრული თანხმობაა - ყველანი პრეზიდენტ სააკაშვილის უპირობო გადადგომას მოითხოვენ. **ჩვენმა ალიანსმა რეფერენდუმის გეგმა გააჟღერა. სხვები აქციის ჩატარებას გეგმავენ. სააკაშვილს სრული ფრონტით უნდა შევუტიოთ, მოვიცვათ ყველა ფორმა და მეთოდი ბრძოლისა, ბოლოს აუცილებლად გადავიკვეთებით სტრატეგიაში,** - ასეთია კაციტაძის პოზიცია.

ალასანიას ალიანსი ათდღიანი ვადის ამოწურვას დაელოდება და შემდეგ იმსჯელებს მომავალ საამოქმედო გეგმაზე. ჯერჯერობით უცნობია, ალიანსის მესვეურები პლებისციტის იდეას მიანიჭებენ უპირატესობას თუ აქციის ინიციატორებს შეუერთდებიან.

პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე თავისი ყოფილი სტუდენტის ირაკლი ალასანიას მიერ გაჟღერებულ რეფერენდუმის იდეას არ იზიარებს. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა 9 აპრილამდე უნდა დანიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიჩნევთ, რომ ყველა რესურსი ამოწურულია და დარჩა მიზნის მიღწევის ერთადერთი გზა - საპროტესტო აქციები მანამ, სანამ პრეზიდენტი იძულებული არ გახდება, დატოვოს თანამდებობა. დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო" და მისი მხარდამჭერები მონაწილეობას არ მიიღებენ სააკაშვილის მიერ ინიცირებულ არც ერთ პროცესში - მათ შორის არც საპარლამენტო არჩევნებში და არც რეფერენდუმში,"** - განაცხადა ბურჯანაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსა" და ალასანიას ალიანსს შორის მომავალი შესაძლო თანამშრომლობის შესახებ.

როგორც ალიანსის წარმომადგენლებმა 24 საათს განუცხადეს, ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება. იგივე მოსაზრება გამოთქვა ჩვენთან საუბრისას დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წევრმა რომან კუსიანმა. **პარტია ამ ეტაპზე არც ერთ პოლიტიკურ ძალასთან არანაირი ფორმით არ აპირებს გაერთიანებას - არც ალიანსის და არც ბლოკის სახით,** - აღნიშნა კუსიანმა.

იოჰან ვერბეკე სოხუმს ეწვევა

საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იოჰან ვერბეკე დღეს სოხუმს ეწვევა და სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას, ასევე ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივან სტანისლავ ლაკობას შეხვდება. შეხვედრაზე მხარეები, სავარაუდოდ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატის გაგრძელების შესახებ 2009 წლის 13 თებერვალს მიღებულ რეზოლუციაზე ისაუბრებენ და რეზოლუციის დებულებების პრაქტიკული იმპლემენტაციის საკითხს განიხილავენ.

ჯი-ეიჩ-ენი

ალექსანდრე ნალბანდოვი იოჰან ვერბეკეს შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვი გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელ იოჰან ვერბეკეს შეხვდა. შეხვედრას საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორი სერგი კაპანაძე და ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე შალვა ცისკარაშვილიც ესწრებოდნენ. ნშეხვედრის ძირითადი თემა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის მანდატის გაგრძელების თაობაზე 2009 წლის 13 თებერვალს მიღებული რეზოლუცია იყო. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნული რეზოლუციის დებულებების პრაქტიკული იმპლემენტაციის გზებზე ისაუბრეს.

ჯი-ეიჩ-ენი

საქართველოში გაერო-ს მისიის აფხაზეთის ოფისის ხელმძღვანელი უფლებადაცვით სფეროში არსებულ მძიმე ვითარებაზე საუბრობს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვი საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენელს, აფხაზეთში გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის ხელმძღვანელ რიჩარდ კომენდას შეხვდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრა კომენდას თხოვნით გაიმართა. შეხვედრაზე საქართველოში ადამიანის უფლებათა მხრივ არსებული ვითარება და გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის შემდგომი საქმიანობის საკითხები განიხილეს. გაერო-ს წარმომადგენელთა თქმით, უფლებადაცვით სფეროში არსებული საკმაოდ მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, აფხაზეთში მოქმედი გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის ქმედობაუნარიანობის ამაღლება აუცილებელია. შეხვედრაზე ალექსანდრე ნალბანდოვმა აღინიშნა, რომ ქართული მხარე მიესალმება საქართველოში გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის შესაძლო გაძლიერებას და ეფექტურ თანამშრომლობას რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამემამულეთა უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომელთა დარღვევა უხეშ და მასობრივ ხასიათს ატარებს.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოცდების ეროვნული ცენტრი საგამოცდო ნაშრომების გამსწორებლებს კონკურსით შეარჩევს

2009 წელს საგამოცდო ნაშრომების კომპიუტერული გასწორების პროგრამის გაცნობა და გამსწორებელთა კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვისაც აქვს ამა თუ იმ საგამოცდო საგანში უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და ინტერნეტზე მიუწვდება ხელი. კონკურსი, ისევე როგორც საგამოცდო ნაშრომების გასწორების პროცესი, ინტერნეტის მეშვეობით წარიმართება. 2008 წელს საგამოცდო ნაშრომები პირველად გასწორდა კომპიუტერული პროგრამით. ამ სიახლემ შესაძლებელი გახადა გასწორების პროცესში საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენლების ჩართვა საკუთარი რაიონიდან გაუსვლელად. კონკურსი სამ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპი, რომელიც შეფასების სქემების გაცნობასა და ნაშრომების გასწორებაში ვარჯიშს ეთმობა, 15 მარტამდე გრძელდება. მომდევნო ეტაპზე მონაწილეობა კვლავ ყველა მსურველს შეუძლია. მესამე, დასკვნით ეტაპზე მონაწილეობას მიიღებენ ის კონკურსანტები, რომელთა შეფასება ყველაზე მეტად მიუახლოვდება საგნის ექსპერტთა შეფასებებს.

კონკურსში მონაწილეობისათვის მსურველები გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდს უნდა ეწვიონ. კონკურსის შედეგად შერჩეული სპეციალისტები საგანგებო ტრენინგის გავლის შემდეგ ჩაერთვებიან 2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო ნაშრომების გასწორების პროცესში.

ჯი-ეიჩ-ენი

ოკუპაციის მესამე მცდელობა

ოთარ ჯანელიძე

(გაგრძელება. დასაწყისი წინა ნომერში)

წერილი მეორე

რუსეთი იგონებს საბაბს და ეძებს მოტივაციას

ცარისტულ-ლენინური (იგივე იმპერიული) მოქმედების მეთოდოლოგია თითქმის უცვლელად გადმოვიდა რუსეთის ფედერაციის თანამედროვე მესვეურთა არსენალში. პუტინ-მედვედევის პოლიტიკური ლექსიკაც საქართველოს მიმართ ლენინური ტერმინოლოგიითაა გაჯერებული.

თავისი ნამდვილი მისწრაფება რომ დამალოს, კრემლი სამხრეთ კავკასიაში შექმნილ სიტუაციას და ახალ რეალობებს დღესაც ისე წარმოაჩენს, თითქოს ის რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებასა და სასიცოცხლო ინტერესებს ემუქრებოდეს. XXI საუკუნეში რუსეთი საქართველოში აღარ ეძებს "კლასობრივ თანამოძმეებს," მაგრამ მოიგონა მეზობელი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში ჩარევის ახალი, არანაკლებ ეფექტური საშუალება: ქართველთაგან დაცლილ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში აფხაზი, ოსი და სხვა ეროვნების მცხოვრებლებს დაურიგა რუსული პასპორტები და ისინი სრულიად უსაფუძვლოდ და საერთაშორისო ნორმების იგნორირებით რუსეთის მოქალაქეებად გამოაცხადა. 2008 წლის აგვისტოში საქართველოზე თავდასხმის საბაბად რუსეთმა სწორედ ცხინვალის რეგიონში თავისი" მოქალაქეების დაცვა მოიმიზეზა და ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიაშიც დაადანაშაულა. სინამდვილეში, როცა საქართველოს წინააღმდეგ მასშტაბურ ომს იწყებდა, რუსეთს სხვა ინტერესი ამოძრავებდა. რუსი სამხედრო და პოლიტიკურ ექსპერტ პ. ფელგენგაუერის სიტყვით, აგვისტოს ომს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საბოლოოდ უნდა გაეთავისუფლებინა ქართული გავლენისა და მოსახლეობისაგან, თბილისი - სააკაშვილისაგან, სამხრეთ კავკასია - ნატოსა და ამერიკელებისაგან" (24 საათი," 2009, 4 II). აღსანიშნავია ისიც, რომ კონფლიქტურ ზონებში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალები" აქ მშვიდობასა და სტაბილურობას კი არ უზრუნველყოფდნენ, არამედ საქართველოს იურისდიქციიდან გამოსულ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმებს იცავდნენ და აძლიერებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოსთან მიმართებაში რუსეთი აგრესორად ცნეს, კრემლი უსაფუძვლო ბრალდებებს კვლავ საქართველოს უყენებს. გაღმა გვედავება, რომ გამოღმა შერჩეს. ცდილობს, ძალით მიტაცებული საქართველოს მიწა-წყალი დაისაკუთროს, მსოფლიო საზოგადოებრიობა უსამართლობას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის უკანონოდ აღიარებას შეაგუოს. მაგრამ, განსხვავებით XIX საუკუნის დამდეგისა თუ 1921 წლისაგან, სიმართლესა და სამართლიანობას დღეს უფრო მეტი დამცველი და გულშემატკივარი ჰყავს. დემოკრატიული სამყარო ახლა უკეთ ხედავს და აღიქვამს რეალობას. ამასთან, მას სათანადო მექანიზმებიც გააჩნია მათ წინააღმდეგ, ვინც აბუჩად იგდებს სხვა ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, საფრთხეს უქმნის მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგს. საქართველოს დასჭირდება დიდი და მიზანმიმართული ძალისხმევა, საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა და გონივრული პოლიტიკა, რათა რუსეთს უკან დახევა აიძულოს და ომში დაკარგული მშვიდობიანი გზით დაიბრუნოს.

აგრესიის სამზადისი

ანალიზი, თუ როდის და რა ვითარებაში მიმართავდა რუსეთი ექსპანსიურ ქმედებებს საქართველოს წინააღმდეგ, მკაფიოდ და ნათლად აჩვენებს, რომ კრემლის ყოველ აგრესიულ ნაბიჯს წინ ფართო სამხედრო-პოლიტიკური თუ სხვა სახის სამზადისი უსწრებდა. პირველ რიგში, რუსეთი ზუსტად არჩევდა და არჩევს დროს მიზანში ამოღებულ მსხვერპლზე თავდასასხმელად.

დავიწყოთ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნით. ეს რუსეთის აქტიური მოქმედებისათვის ხელსაყრელი ხანა იყო როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით, ისე საქართველოში შექმნილი მდგომარეობის მხრივაც. რევოლუციის შემდგომი საფრანგეთის ხელისუფლებაში ნაპოლეონ ბონაპარტეს მოსვლამ ევროპას მრავალი ისეთი საზრუნავი გაუჩინა, რომ მას აღარ ეცალა რუსეთის სამხრეთისაკენ სწრაფვის შესაჩერებლად. რუსეთს მისი აღმოსავლური პოლიტიკის გამო, მართალია, იმ დროისათვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ინგლისთან, მაგრამ რუსულმა დიპლომატიამ მოახერხა სიტუაციის ისე განმუხტვა, რომ საქმე ომამდე არ მისულიყო. რუსეთი ასევე გამოეთიშა მეორე ანტიფრანგულ კოალიციას და ნაპოლეონთან გარიგების მისაღწევად მოლაპარაკებებს შეუდგა.

1799 წელს პავლე I-მა ხელშეკრულება დადო ოსმალეთთან, რომელიც ამ უკანასკნელის ძალისხმევას რუსეთის სამხრეთ კავკასიაში შემოღწევის საწინააღმდეგოდ ერთგვარად ზღუდავდა და ანელებდა. ამასთან, სულთნის ხელისუფლებას დაკარგული ჰქონდა ძველი ძლიერება და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, ეკონომიკური და პოლიტიკური დაქვეითების გზაზე დამდგარ ოსმალეთს აღარც შეეძლო აღეკვეთა რუსეთის ექსპანსია ამ რეგიონში.

აღმოსავლეთ საქართველოში რომანოვთა იმპერიის მთავარი მეტოქე ირანი, რომელსაც რუსეთთან დასაპირისპირებლად ფარულად ხელს ინგლისიც უწყობდა, აღა მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ დაპყრობილ კავკასიურ სამფლობელოებს წინანდელი ძალმოსილებით ვეღარ აკონტროლებდა. ასე რომ, გარკვეული დროის განმავლობაში, რუსეთს ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა თავის ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

ამავე პერიოდში ვითარება არასტაბილური იყო ქართლ-კახეთის სამეფოშიც. ერეკლე II-ის მიერ ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლამ სნეული გიორგი XII-ის მეფობაში უფლისწულები სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაჰკიდა ერთმანეთს, რამაც ისედაც შინაფეოდალური შუღლითა თუ გარეშე მტერთა თავდასხმებით ქანცგაწყვეტილი ქვეყანა კიდევ უფრო დაასუსტა.

საერთაშორისო ასპარეზზე წინააღმდეგობას მოკლებულმა რუსეთის სახელმწიფომ ძლიერის უფლებით მიიტაცა პატარა და სუსტი ქვეყნის მიწა-წყალი, მოშალა ოდინდელი სუვერენული სამეფო და ქართლ-კახეთი საკუთარი იმპერიის ნაწილად - გუბერნიად აქცია.

საბჭოთა რუსეთის გამოლაშქრებას საქართველოს დასაპყრობად 1921 წელსაც წინ ყოველმხრივი მზადება უძღოდა. 1920 წლის ბოლოსთვის წითელმა არმიამ, რომელიც თავის რიგებში 5,5 მილიონ მებრძოლს ითვლიდა, ძირითადად დაასრულა სამოქალაქო ომი და ქვეყნის ფარგლებიდან უცხოელი იტერვენტებიც განდევნა. ბოლშევიკებმა ხელისუფლება შეინარჩუნეს და ცარიზმის დროინდელი იმპერიის აღდგენას შეუდგნენ. 1920 წელსვე რუსეთმა განახორციელა აზერბაიჯანისა და სომხეთის ოკუპაცია, გააუქმა აქაური დამოუკიდებელი სახელმწიფოები და შექმნა კრემლისადმი დაქვემდებარებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. დღის წესრიგში დაისვა საქართველოს საკითხიც, რადგან საქართველოს გარეშე რუსეთს გაუძნელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის, სომხეთისა და აზერბაიჯანის შენარჩუნება, ბაქოდან ნავთობის გატანა და მით უფრო აღმოსავლეთში შეღწევა, საითაც მიმართული იყო პროლეტარული რევოლუციის ვექტორი.

საქართველოს საზღვრების გასწვრივ წითელი არმიის ნაწილების დაჯგუფების პარალელურად, მოსკოვმა საგანგებოდ იზრუნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო იზოლაციის მისაღწევად. რუსეთმა ინგლისის მთავრობასთან წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად მასთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. ლოიდ ჯორჯმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასია აღარ შედის დიდი ბრიტანეთის ინტერესებში. ინგლისის ამგვარი პოზიცია ხსენებულ რეგიონში სამოქმედოდ რუსეთისათვის კარტ-ბლანშის მიცემას ნიშნავდა.

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ სახელმწიფოთა შორის კეთილგანწყობის დასამყარებლად, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად შექმნილმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ერთა ლიგამ საქართველოს უარი უთხრა წევრად მიღებაზე. უარის მიზეზად ის დასახელდა, რომ გარე აგრესიის შემთხვევაში ერთა ლიგა ვერ შეძლებდა ევროპის განაპირა რთულ რეგიონში მდებარე ქართული სახელმწიფოს დაცვას.

კრემლმა გაითვალისწინა ოსმალეთის ფაქტორიც, მხარი დაუჭირა ახლად წარმოშობილ ანგორის მთავრობას და მისთვის საქართველოს გარკვეული ტერიტორიის დათმობის სანაცვლოდ ქემალ ათა თურქი ნეიტრალიტეტზე დაითანხმა.

როცა საერთაშორისო ვითარება თავის სასარგებლოდ შემოაბრუნა, რუსეთი აღარ დაელოდა საქართველოს შიგნიდან აფეთქებას" და მარტოდ დარჩენილი ქვეყნის წინააღმდეგ ერთდროულად რამდენიმე არმია დაძრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაეცა, განხორციელდა საქართველოს სრული ოკუპაცია-ანექსია. სოციალისტურ რესპუბლიკად სახელდებული საქართველო 1922 წელს საბჭოთა იმპერიაში გააერთიანეს.

XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ კიდევ ერთხელ აღიდგინა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი. თავისუფლების გზაზე ხელახლა დამდგარ ქვეყანასთან ანგარიშის გასასწორებლად რუსეთი არანაკლები მონდომებით ემზადებოდა, ვიდრე წინა ორ შემთხვევაში. ახლად დამოუკიდებლობაგამოცხადებულ ქართულ სახელმწიფოს რუსეთმა ჯერ ანტიქართული ძალები აუმხედრა, აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გააღვივა, ხსენებულ რეგიონებში სეპარატისტული რეჟიმები ჩამოაყალიბა და მერე ისინი საქართველოზე შეტევის პლაცდარმად გამოიყენა. ჩანაფიქრის განხორციელება რომ გაადვილებოდა, რუსეთმა არ აღკვეთა, პირიქით, ხელიც შეუწყო კონფლიქტურ რეგიონებში ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას, რაც დადასტურებულია ეუთო-ს ბუდაპეშტისა (1996 წ.) და ლისაბონის (1999 წ.) სამიტების დასკვნითი აქტებითა და გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით (2000 წ. 15 მაისი). ამასთან, რუსეთის ფედერაციის ე.წ. სამშვიდობო ძალები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რეალურად იყო საოკუპაციო ჯარი, რომელიც პერიოდულად დამატებითი შენაერთებითა და საბრძოლო ტექნიკით ივსებოდა.

2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის მხრიდან საფუძვლიანად მომზადებული ინტერვენცია განხორციელდა. სახმელეთო ნაწილების პარალელურად, საქართველოში შემოიჭრნენ რუსეთის საზღვაო და საჰაერო შენაერთებიც. სამხედრო ძალების შეტევის გეოგრაფია, ოპერაციაში მონაწილე დაჯგუფებათა და ტექნიკის სიმრავლე ცხადყოფდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევა რუსეთში კარგა ხანის წინ იგეგმებოდა. 2008 წლის დეკემბერში რუსეთის პრეზიდენტმა დ. მედვედევმა სატელევიზიო ინტერვიუში დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა საქართველოსთან ომისთვის მართლაც წინასწარ ემზადებოდა.

საბრძოლო მოქმედებებში 40 ათასზე მეტ რუს სამხედრო მოსამსახურეს ორი ქართული ბრიგადა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმი უპირისპირდებოდა. ქართულ სამხედრო ძალაზე მრავალჯერ აღმატებულ რუსეთის არმიას არ გასჭირვებია მისი ძლევა და საქართველოს მიწა-წყლის ოკუპაცია. რუსეთის ტანკები გასცდნენ ცხინვალის კონფლიქტურ ზონას, ქალაქ გორში შევიდნენ და თბილისისაკენ მიმავალი გზატკეცილი დაიკავეს. დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი ნაწილები ფოთის ნავსადგურს, ქალაქ სენაკსა და სხვ. დაეუფლნენ. დაიბომბა არა მხოლოდ სამხედრო, არამედ მშვიდობიანი ობიექტები, მათ შორის საცხოვრებელი კორპუსები. დიდი იყო მსხვერპლი. რამდენიმე ათეული ათასი ქართველი იძულებული გახდა, საკუთარი სახლკარი მიეტოვებინა, რომლებიც ოსმა სეპარატისტებმა ჯერ პირწმინდად გაძარცვეს, მერე კი ცეცხლს მისცეს და ნაცარტუტად აქციეს.

შექმნილი ვითარებით ისარგებლეს აფხაზმა სეპარატისტებმა, რომლებაც კოდორი დაიკავეს და მაღალმთიანი ხეობიდან ქართველი მოსახლეობა გამოაძევეს. ქვეყანას კოდორის ხეობისა და შიდა ქართლის სოფლებიდან ლტოვლილთა ახალი დიდი ტალღა შეემატა. საქართველო რუსეთის ჯარების სრული ოკუპაციისაგან ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იხსნეს.

აღვნიშნავთ რა ყოველივე ამას, აუცილებელია, შევეხოთ ერთ საკითხსაც. ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლებას არცთუ იშვიათად ბრალს დებენ მილიტარისტული კურსის არჩევაში, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტულ რეჟიმებთან დამოკიდებულებაში მან, სამშვიდობო მოლაპარაკებების ნაცვლად, უპირატესობა ძალისმიერ მეთოდებს მიანიჭა. რა შეიძლება ითქვას ამის შესახებ?

ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა გამოსვლებში მართლაც შეინიშნებოდა სამხედრო რიტორიკა, თუმცა პარალელურად დასავლეთის ცალკეული სახელმწიფოების, ეუთო-სა თუ ევროკავშირის მონაწილეობით რეგიონში სამშვიდობო გეგმებიც მუშავდებოდა. მაგალითად, 2008 წლის ივლისის შუა რიცხვებში თბილისსა და სოხუმს სპეციალურად ეწვია გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ ვალტერ შტაინმაიერი, მაგრამ მისი თვალსაზრისი აფხაზურმა მხარემ არ გაიზიარა. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება უარყოფდა აგრეთვე კონფლიქტის მოგვარების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის კონკრეტულ წინადადებებს. თბილისთან სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებისაგან თავს იკავებდა ცხინვალის მარიონეტული რეჟიმიც. სოხუმსა და ცხინვალში დაიმედებულნი იყვნენ რუსეთის განცხადებებით, რომ კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება პრეცედენტი იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკებისთვისაც.

პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერაფერს ჰმატებდა რუსეთის ე.წ. შუამავლობა. ასეთ ვითარებაში ოფიციალური თბილისი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ გაჭიანურებული კონფლიქტები ძალისმიერი მეთოდებით გადაეჭრა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა სამხედრო ჩარევით აღედგინა.

რაც შეეხება საქართველოს მილიტარიზაციას: 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ ქვეყნის ბიუჯეტის უფრო გონივრული განაწილება, სამხედრო ხარჯების ზრდის ნაცვლად თანხის, ვთქვათ, განათლების, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის სფეროთა მიმართულებით აკუმულირება რომ უმჯობესი იქნებოდა, თითქოს სადავო არ არის. მაგრამ, ვფიქრობთ, არაფერია გასაკვირი იმაშიც, რომ ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა ზრუნავდეს თავისი სამხედრო მდგომარეობისა და თავდაცვისუნარიანობის გასაუმჯობესებლად. სამწუხარო ისაა, რომ ამ მიმართებით ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები არსებობს და ეს აღინიშნა კიდეც აგვისტოს ომის შემდგომ საგანგებოდ შექმნილ რუსეთის სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელ საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნაში. აქვე დავძენთ შემდეგსაც: საქართველოს ხელისუფლების შეცდომად უფრო ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მან სათანადოდ ვერ წარმართა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, სრულად ვერ გაითვალისწინა რუსეთის ფაქტორი, ნაკლებად გაუწია ანგარიში ამ ქვეყნიდან მომდინარე გამოწვევას და ვერ შეძლო, ქვეყნისთვის აეცილებინა მასშტაბური ავანტიურა, რომელმაც საავალალო შედეგები გამოიწვია.

"ქრისტიან-დემოკრატების" საკანონმდებლო ინიციატივა

სხვა საპარლამენტო ოპოზიციური პარტიების მსგავსად "ქრისტიან-დემოკრატებმა" პატიმრობის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით საკუთარი ინიციატივები წარადგინეს. "ქრისტიან-დემოკრატები" სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების და გამჭვირვალობის მიზნით საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს დროულად შექმნას და ახალი სამინისტროს ახალ მინისტრ დიმიტრი შაშკინთან შეხვედრას მოითხოვენ.

მზად ვართ, მინისტრთან ერთად ვიმსჯელოთ საზოგადოებრივი კონტროლის საბჭოს შემადგენლობის, ფუნქციებისა და უფლებამოსილების საკითხებზე, - აცხადებენ "ქრისტიან-დემოკრატები" და სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივებით გამოდიან.

"ქრისტიან-დემოკრატების" მთავარი მოთხოვნა პატიმრებისთვის პაემნის გახანგრძლივებაა. ქრისტიან-დემოკრატების მიერ მომზადებული პროექტი მოიცავს ასევე მსჯავრდებულთა განათლებას და სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას.

"უნდა აღდგეს ხანგრძლივი პაემნების პრაქტიკა და ადმინისტრაციის მიერ ცალკე გამოყოფილ სადგომში პატიმარს უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლების გარეშე ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. უნდა გაიზარდოს პატიმრებისთვის პაემნების ხანგრძლივობა და რაოდენობა, განსაკუთრებით, პატიმარ ქალებთან. ასევე აუცილებელია, რომ არასრულწლოვან პატიმრებს ჰქონდეთ ოჯახთან ურთიერთობის შესაძლებლობა," - აცხადებენ ქრისტიან-დემოკრატები . მათ მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს, როგორც ხანმოკლე, ასევე ხანგრძლივი პაემნის უფლება ეძლევათ. საკანიონმდებლო ინიციატივის ავტორების თქმით, ხანმოკლე პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს, ხოლო ხანგრძლივი პაემანი ოჯახის წევრებთან სასჯელაღსრულების დაწესებულების სპეციალურად გამოყოფილ სადგომში, ადმინისტრაციის დაუსწრებლად, 72 საათის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს.

წარმოდგენილი ინიციატივის თანახმად, მსჯავრდებულ მამაკაცებს თვეში 2 ხანმოკლე და წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანის შესაძლებლობა ექნებათ, მსჯავრდებულ ქალებს კი - თვეში 3 ხანმოკლე და წელიწადში - 6 ხანგრძლივი პაემნის.

"ქრისტიან-დემოკრატების" განცხადებით, არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება ეძლევა, ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი.

მიგვაჩნია, რომ ოჯახური კავშირების შენარჩუნება გადამწყვეტი ფაქტორია პატიმართა სამომავლო სოციალური ინტეგრაციისთვის. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ოჯახები, მაშინ, როდესაც დღევანდელი კანონმდებლობა მხოლოდ ოჯახების ნგრევის წინაპირობას ქმნის," - აცხადებს მაგდა ანიკაშვილი.

საკუთარი ინფორმაცია

გურამ შარაძის ოჯახი საქმის ხელახალ გამოძიებას მოითხოვს

"ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, გამოძიება თავიდან უნდა ჩატარდეს. ვეცდებით, მთავარი პროკურატურა მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიების აუცილებლობაში დავარწმუნოთ, - აცხადებენ გარდაცვლილი გურამ შარაძის ოჯახის წევრები და მათი ინტერესების დამცველები. ისინი საქმის მასალებს და მტკიცებულებებს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გასაგზავნად ამზადებენ.



გიორგი ბარათელმა ჭერ უარყო დანაშაული, მოგვიანებით კი, აღიარა.

გურამ შარაძის ოჯახის წევრები კიდევ ერთხელ აცხადებენ, რომ არ ენდობიან მკვლელობის იმ ვერსიას, რომელიც გამოძიებამ წარმოადგინა და ამ ვერსიის საფუძველზე გამოტანილ განაჩენს ეჭვქვეშ აყენებენ.

გურამ შარაძის შვილი, რუსუდან შარაძე წინასწარი გამოძიების მასალებს აბსურდულს უწოდებს და აცხადებს, რომ მკვლელობის საქმეზე გამოძიება, ფაქტობრივად, არ ჩატარებულა. გარდაცვლილის ქალიშვილი ირწმუნება, რომ მკვლელობისთვის მსაჯავრდებული გიორგი ბარათელი არ არის მკვლელი.

მამაჩემის მკვლელობას პოლიტიკური მოტივი აქვს და ის ქილერმა ჩაიდინა. გიორგი ბარათელს კარგად ვიცნობ, გარწმუნებთ, ის არ არის ასეთი პროფესიონალური მკვლელობის ჩამდენი. სამართალდამცველებმა შეცდომები ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების ეტაპზე დაუშვეს. ამის დასტურია "ადამიანის უფლებათა ცენტრის" მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიების შედეგებიც, - აცხადებს რუსუდან შარაძე.

მკვლელობის საქმეში ახალი გარემოებების აღმოჩენის საფუძველად ოჯახის ადვოკატები სწორედ იმ ჟურნალისტური გამოძიების მასალებს ასახელებენ, რომელიც "ევრაზიის პარტნიორობის ფონდის" მხარდაჭერით განხორციელდა და რომელიც მოწმეების ჩვენებებს და სადაზღვევო კომპანია ალდაგის" ვიდეოფირზე აღბეჭდილ კადრებს ეყრდნობა.

ჟურნალისტური გამოძიებით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილას გიორგი ბარათელი სამართალდამცველებმა მკვლელობიდან 15 წუთის შემდეგ მიიყვანეს. ნამდვილი მკვლელები კი, უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასულები. გაჩენილ მნიშვნელოვან შეკითხვებს უნდა გაეცეს პასუხი - ან აქ, ან სტრასბურგში, ან ახლა არსებული სასამართლო სისტემის პირობებში, ან მომავალში," - აცხადებს რუსუდან შარაძე.

რაც შეეხება გურამ შარაძის მკვლელობისთვის გასამართლებულ გიორგი ბარათელს. მან სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ჯერ უარყო დანაშაული, მოგვიანებით კი, აღიარა, რითაც შარაძეების ოჯახის არგუმენტი, ანუ ვერსია პოლიტიკური მოტივით მკვლელობის შესახებ გააბათილა.

განსასჯელმა დეტალურად აღწერა მკვლელობის ფაქტი და მიზეზი. ბარათელმა ჩადენილი დანაშაული შურისძიების მოტივით ახსნა. კერძოდ, განსასჯელის მტკიცებით, გურამ შარაძის შვილმა გიორგი შარაძემ, რომელიც მისი მეგობარი და თანამშრომელი იყო, ის წაიყვანა საზღვარგარეთ, წაართვა საბუთები და მისგან თირკმელის გაყიდვას ითხოვდა.

გიორგი ბარათაელმა პროცესზე აღიარა მისთვის წაყენებული მეორე ბრალდებაც - ექიმ ტირზიკიანის მკვლელობის მცდელობა და ეს იმით ახსნა, რომ ექიმმა მკურნალობის ნაცვლად მას ჯანმრთელობა დაუზიანა.

ქართული მართლმსაჯულების ბოლო ინსტანციამ ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა და გიორგი ბარათელს საბოლოოდ 27-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

საკუთარი ინფორმაცია

რეკომენდაციები პრემიერ-მინისტრს

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს რეკომენდაციით მიმართავს და რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის კონკრეტულ მითითებებს აძლევს.

ომბუდსმენი ე.წ. ბუფერული ზონის სოფლების მაცხოვრებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების დაფარვას მოითხოვს. ომბუდსმენის აზრით, უნდა შეიქმნას დაზარალებული სოფლების მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსწავლელი სპეციალური კომისია, რომელიც ბანკების წინაშე უზრუნველყოფს შიდა ქართლში, ომისგან დაზარალებულ მცხოვრებთა საკრედიტო ვალდებულებების დაფარვას.

სუბარის განმარტებით, ამჟამად არსებული სახელმწიფო კომისია მხოლოდ დანგრეული შენობების მდგომარეობას სწავლობს და დევნილების სხვადასხვა სოციალური პრობლემები კვალავ გადაუჭრელი რჩება.

სახალხო დამცველის განმარტებით, ხელისუფლება დევნილებს უხდიდა საფასურს, თუმცა, როგორც ხელისუფლებაში ამბობენ, როდესაც დევნილებმა გაიგეს, რომ მათ დავალიანებას ხელისუფლება ფარავდა, მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა გაიზარდა და იანვრის გადასახადი ხელისუფლებამ მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიებზე დაფარა.

იქ, სადაც არ მოხდა ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, დევნილებს შუქს უთიშავენ, ეს კი იწვევს წყლის პრობლემასაც," - აცხადებს ომბუდსმენი.

რაც შეეხება ომისგან დაზარალებული მოსახლეობის საბანკო დავალიანებას, რომელიც რამდენიმე ათასს შეადგენს. **ეს პრობლემა ბანკებს მძიმე ტვირთად რომ არ დააწვეს, ხელისუფლებამ მისი სუბსიდირება უნდა მოახდინოს,** - აცხადებს სოზარ სუბარი.

"ჩვენ ვიმყოფებოდით კონფლიქტის რეგიონში. ერთ კვირაზე მეტია, ფრონეს ხეობის სოფლებში ელექტროენერგია გათიშულია. ჩვენი ადგილზე ყოფნის პერიოდში ელექტროენერგია ჩართეს, თუმცა ჩვენი წამოსვლის შემდეგ ისევ გათიშეს. ეს საკითხი უნდა დარეგულირდეს, ან ხელისუფლებამ გარკვეული ლიმიტი დააწესოს. თუკი ადრე დევნილები 500 კვტ-ს მოიხმარდნენ, სწორედ ამ რაოდენობის ელექტროენერგიის საფასური უნდა დაფაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხელისუფლებამ", - ასეთი რეკომენდაციები აქვს სახალხო დამცველს ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან.

საკუთარი ინფორმაცია

ევროკავშირი ომბუდსმენის ინსტიტუტის გაძლიერებას უწყობს ხელს

მარი ახსიაშვილი

სახალხო დამცველის აპარატს ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში, პერ ეკლუნდმა ევროკავშირის სახელით 12 მსუბუქი ავტომანქანა გადასცა. პერ ეკლუნდმა მანქანის გასაღებები პირადად სოზარ სუბარს ჩააბარა.

"სახალხო დამცველის ინსტიტუტს ევალება ადამიანის უფლებების დაცვა და მონიტორინგი. იმისთვის, რომ მათ უკეთ განახორციელონ თავიანთი მოვალეობები, სჭირდებათ გაძლიერება და დახმარება. ომბუდსმენის ოფისს ჩვენ ბევრი დახმარება გავუწიეთ, მანქანების გადაცემა ყველაზე თვალსაჩინოა," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას პერ ეკლუნდმა.

სოზარ სუბარმა ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ევროკავშირმა მართლაც ბევრი დახმარება გაუწია სახალხო დამცველის აპარატს - აღჭურვა ტექნიკით და კომპიუტერებით, აწარმოებდა სხვადასხვა სახის ტრენინგებს.

ავტომანქანების საერთო ღირებულება 212 750 ევროს შეადგენს. მათი მიწოდება, ევროკავშირთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე განახორციელა კომპანია Volkswagen Centre -მა. კომპანიის დირექტორი, ვახტანგ ალხანიშვილი მონაწილეობას იღებდა ავტომანქანების გადაცემის ცერემონიალში. მისი თქმით, მანქანები უახლესი მოდელისაა.

ევროკავშირმა სახალხო დამცველის სამსახურს 1.4 მლნ ევრო გამოუყო ორწლიანი პროგრამისთვის, რომელსაც ახორციელებს ავსტრიული კომპანია Human Dynamics. პროგრამა მოიცავს როგორც ანალიტიკური განყოფილებების შექმნას, ისე სისხლის სამართლის რეფორმების მონიტორინგისთვის ახალი მიდგომებისა და პროგრამების შემუშავებას. გათვალისწინებულია მონიტორინგის სახელმძღვანელოების შექმნა და ტრენინგები. აგრეთვე, საქართველოში მიმდინარე სისხლის სამართლის სისტემის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხები.

იურიდიული დახმარების სამსახურის გამჭვირვალობის მექანიზმები

2009 წლის თებერვლიდან ძალაში შევიდა "იურიდიული დახმარების შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ზრდას უზრუნველყოფენ.

2007 წლის ივლისში მიღებული "იურიდიული დახმარების შესახებ" კანონი, იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სამეთვალყურეო ორგანოს - სამსახურის მონიტორინგის საბჭოს შექმნას ითვალისწინებდა.

2008 წლის დეკემბერში კანონში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, მონიტორინგის საბჭოს უფლებამოსილება მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კერძოდ, საბჭოს ფუნქციებში იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და სტრატეგიის დამტკიცება შევიდა. აქამდე საბჭოს მოქმედების სფერო მხოლოდ მონიტორინგის განხორციელებითა და რეკომენდაციების შემუშავებით შემოიფარგლებოდა.

განისაზღვრა მონიტორინგის საბჭოს დაკომპლექტების წესიც. კანონის თანახმად, საბჭო შედგება 7 წევრისაგან, რომელთაგან ერთი წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრს, ერთი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეს, ერთი - საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა ან ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრს, ხოლო ერთი - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

საბჭოს საქმიანობაში წევრის სახით მონაწილეობს მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე. საბჭოს სხდომებში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ დირექტორი და იურიდიული დახმარების ბიუროს 2 წარმომადგენელი. საბჭოს წევრებს ნიშნავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი. მონიტორინგის საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც საბჭოს წევრთაგან ერთი წლის ვადით აირჩევა.

"იურიდიული დახმარების შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებები ზრდის იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის ფინანსურ გარანტიებსაც. კერძოდ, სამსახურის ბიუჯეტის შემცირება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შესაძლებელი იქნება მხოლოდ მონიტორინგის საბჭოს თანხმობით.

ჯი-ეიჩ-ენი

თბილისში მოქმედი ყაჩაღური ჯგუფის წევრები დააკავეს

თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს, თბილისში მოქმედი ყაჩაღური ჯგუფის წევრები: 20 წლის ნოდარ ესართია, 18 წლის ბორის ესართია, 18 წლის ნიკა მახათაძე და 18 წლის დავით ყუბანეიშვილი. სამართალდამცველების ინფორმაციით, დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, ტაქსის მძღოლებზე ყაჩაღურ თავდასხმებში. ამოღებულია ყაჩაღური თავდასხმის შედეგად გატაცებული ნივთები. გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 353-ე და 186-ე მუხლებით.

ჯი-ეიჩ-ენი

სოზარ სუბარის შეხვედრა ევროსაბჭოს გენმდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი საქართველოში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს ბორის ვოდს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საქართველოში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. სოზარ სუბართან შეხვედრისას ბორის ვოდი დაინტერესდა სახალხო დამცველის აზრით, ევროსაბჭომ საქართველოში მუშაობისას ყურადღება კონკრეტულად რა მიმართულებებზე უნდა გაამახვილოს.

ჯი-ეიჩ-ენი

შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი გორში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა გაერო-ს განვითარების პროგრამის ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სახალხო დამცველის ადგილობრივი ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხები. ასევე ისაუბრეს საჯარო დაწესებულებებში მოქალაქეებისთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის, არასამთავრობო სექტორსა და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობის კუთხით არსებულ პრობლემებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა წინადადებით მიმართეს სახალხო დამცველს, შიდა ქართლის ოფისში გაიხსნას ცხელი ხაზი, რათა ოპერატიული რეაგირება მოხდეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ასევე რეგიონული მედიისათვის ფულადი სახსრების სიმწირეზე, დონორებთან კომუნიკაციების კუთხით არსებულ პრობლემებსა და ასევე ადგილობრივი მედიის განვითარების ხელშეწყობის პროექტების ეფექტიან განხორციელებაზე. შეხვედრზე ასევე ისაუბრეს აგვისტოს ომის შედეგებზე და დევნილთა მდგომარეობაზე.

მედიანიუსი

კონკურსი მოქალაქეთა მომსახურების უნარ-ჩვევებში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ მოქალაქეთა მომსახურების უნარ-ჩვევებში ლექტორის თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. საკონკურსო მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება, 2 წლის გამოცდილება ტრენინგების ჩატარებაში (სასურველია, დასახელებული მიმართულებით), კომპიუტერული პროგრამების ცოდნა. დაინტერესებულმა პირებმა საბუთები 6 მარტამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში (თბილისი, წერეთლის გამზ. N67ა) უნდა წარადგინონ.დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებგვერდზე: www.cra.gov.ge საკუთარი ინფორმაცია

ისრაელის მხარე სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოლაპარაკებას ითხოვს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ებრაული კომპანიების წინააღმდეგ გამოდის. სამინისტროს მიერ ისრაელში რეგისტრირებული ორი კომპანიის მიერ "ხვანჭკარას" და "ქინძმარაულის" უნებართვოდ წარმოება დაფიქსირდა. კომპანიებს სასაქონლო ნიშნები უნებართვოდ ჰქონდათ მინიჭებული. საქმე განსახილველად ისრაელის სასამართლოს გადაეცა. პირველი პროცესი ხუთ იანვარს იყო ჩანიშნული, თუმცა ისრაელში განვითარებული მოვლენების გამო 5 ივნისამდე გადაიდო.

ისრაელის მხარე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოლაპარაკებას სთხოვს.

ჯი-ეიჩ-ენი

პატიმრების მოთხოვნა

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, მათ ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრები დაუკავშირდნენ. მსჯავრდებულები დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან არაადამიანური მოპყრობის გამო ჩივიან და დახმარებას ითხოვენ.

"საშინლად გვექცევიან, თითქოს ადამიანები არ ვიყოთ. ავადმყოფ ადამიანებს საკვებსაც კი უცხიმოს გვაძლევენ, დასალევი წყალიც კი არ გვაქვს. ხმის ამოღების შემთხვევაში უწმაწური სიტყვებით მოგვმართავენ, გვცემს მომსახურე პერსონალიც კი. ექიმები ყურადღებას საერთოდ არ გვაქცევენ, მალე მოკვდებითო, - მარტო ამას გვეუბნებიან. როცა წამალი მოვითხოვეთ, გაგვაშიშვლეს და თირკმელებში სასტიკად გვირტყეს. ესეც არ გვაკმარეს და კარცერში ჩაგვყარეს. გთხოვთ, ყველას გააგებინოთ, აქ რა ხდება," - ნათქვამია წერილში, რომელსაც 60-ზე მეტი მსჯავრდებული აწერს ხელს და რომელიც მათ ადამიანის უფლებათა ცენტრს გაუგზავნეს.

ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები დახმარებას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებს სთხოვენ.

მსჯავრდებულთა თქმით, გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ და ამჟამინდელ ხელმძღვანელობას არაერთხელ მიმართეს, მაგრამ, როგორც ამბობენ, კიდევ უფრო მეტად დაისაჯნენ. მათ წერილით მიმართეს ახალ მინისტრ დიმიტრი შაშკინს და მისგან დახმარება მოითხოვეს.

ამავე დაწესებულებაში მყოფმა ერთ-ერთმა პატიმარმა ცოტა ხნის წინ წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს, სახალხო დამცველს და მინისტრ დიმიტრი შაშკინს.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი აცხადებს, მსჯავრდებული რობერტი ხარაიშვილი უკვე ორი თვეა ჩივის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა, დაწესებულების ადმინისტრაციას მკურნალობის ჩატარების თხოვნით ბევრჯერ მიმართა, მაგრამ უშედეგოდ.

"ორი თვეა წამლებს ვითხოვ და არ მაძლევენ. დაწესებულებას ამხელა ეზო აქვს და სუფთა ჰაერზე საერთოდ არ გვიშვებენ. პრეტენზიის გამოთქმის უფლება არ გვაქვს. მაშინვე კარცერში მიგვათრევენ. კარცერი ავადმყოფებით არის სავსე. მეოთხე კვირაა ყელი და ხორხი გამისივდა, ხმა წამერთვა და საშინელი ტკივილი მტანჯავს. ციხის საავადმყოფოში გადაყვანა ვითხოვე, მაგრამ ტკივილგამაყუჩებელსაც კი არ მაძლევენ," - აცხადებს რობერტ ხარაიშვილი.

ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების პრეტენზიებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი სალომე მახარაძე კატეგორიულად უარყოფს.

"ამ დაწესებულებაში პატიმრები კარცერში არ იმყოფებიან. მსჯავრდებულები ჩვეულებრივ ოთახებში არიან და მათზე ყველა ის პროგრამა ვრცელდება, რაც ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულებს ეკუთვნით. ამასთან ერთად, დაწესებულების შენობაში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. პირადად ვარ იქ რამდენჯერმე ნამყოფი და ვიცი, რა სიტუაციაა. რაც შეეხება კვებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ამის შესახებ ინფორმაციას მივაწოდებ ხელმძღვანელობას, მინისტრს და საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო რეაგირებას მოვახდენთ," - განუცხადა ადამიანის უფლებათა ცენტრს სალომე მახარაძემ.

საკუთარი ინფორმაცია

რევოლუცია კრიმინალისტიკაში

რევოლუციური გადატრიალება - ასე ფასდება ამერიკის შეერთებული შტატების კრიმინალისტიკური საქმიანობის მიღწევები. საქმე ისაა, რომ ამერიკელ სპეციალისტებს უკვე შეუძლიათ დამნაშავის ფოტოროობოტი მისი დნმ-ის მონაცემების მიხედვით შეადგინონ.



ამერიკელ სპეციალისტებს უკვე შეუძლიათ დამნაშავის ფოტორობოტი მისი დნმ-ის მონაცემების მიხედვით შეადგინონ.

კრიმინალისტები იმ ტექნოლოგიაზე მუშაობენ, რომლის საშუალებითაც, ადამიანის გარეგნობის მიხედვით, მისი გენეტიკური რუკის შედგენაც გახდება შესაძლებელი. **გამომძიებლებს უკვე შეუძლიათ, დნმ-ის ანალიზის მიხედვით, დაადგინონ დამნაშავის გარეგნობა, მისი კანის ფერიც კი,** - აცხადებს პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი მარკ შრაივერი, რომელმაც მიღწეული წარმატებების თაობაზე მოხსენება უკვე წაიკითხა ჩიკაგოში გამართულ კონფერენციაზე.

როგორც გაირკვა, ამერიკელი სპეციალისტების ახალი მეთოდი უკვე დაეხმარა გამომძიებლებს სერიული დანაშაულების გახსნაში. სწორედ ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით შედგა სერიული მკვლელის დერეკ ტოდის ფოტორობოტი, რომელიც 2004 წლეს უკვე იყო გასამართლებული.

საქმე ისაა, რომ მოწმეებისა და დაზარალებულების ჩვენებების მიხედვით, მანიაკი სავარაუდოდ, თეთრკანიანი იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც და დნმ ანალიზი გაკეთდა, კრიმინალისტები და ექსპერტები ირწმუნებოდნენ, რომ ძებნილი დამნაშავე, მისი დნმ-ის მიხედვით, აფროამერიკული წარმოშობის უნდა ყოფილიყო. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ კრიმინალისტები და ექსპერტები არ შემცდარან. სერიული მანიაკის დერეკ ტოდის კანის ფერი და ნამდვილი გარეგნობა, სწორედ ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც მათ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დაადგინეს.

ამ წარმატების შემდეგ სპეციალისტებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ და საბოლოოდ, შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც გაირკვა, რომ გენეტიკური კოდი განსაკუთრებით იკვეთება ადამიანის ტუჩების კუთხეებსა და ცხვირის წვერზე. სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, ამერიკელი კრიმინალისტები ადამიანის გენეტიკური ფრაგმენტით მის გარეგნობას ადგენენ.

თუკი აქამდე ამერიკელი კრიმინალისტებისთვის დაბინძურებული ადგილიდან აღებული დნმ-ის ზუსტი ანალიზის დადგენა შეუძლებელი იყო, ამჯერად, მათ ეს პრობლემა უკვე მოეხსნათ. ექსპერტ-კრიმინალებს უკვე შეუძლიათ ინდივიდუალური გენეტიკური კოდის დადგენა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მასზე კიდევ 200-მა ადამიანმა დატოვა საკუთარი დნმ.

გენეტიკური კოდის დადგენისთვის კრიმინალისტებს ამჟამად უკვე გაცილებით ნაკლები ბიოლოგიური ნაწილაკების მოპოვება სჭირდებათ. აქამდე, ინდივიდუალური კოდის დადგენისთვის ბილოგიური ნაწილაკების ათი პროცენტის მოპოვება იყო საჭირო. კრიმინალისტიკაში მიღწეული რევოლუციური მიღწევების შედეგად, კრიმინალისტებს გენეტიკური კოდის დასადგენად მხოლოდ ნაწილაკების 0,1 პროცენტის მოპოვება სჭირდებათ.

ეს ტექნოლოგია გამომძიებლებისთვის ძლიერი იარაღია დამნაშავეებთან ბრძოლისას, რადგან ეჭვმიტანილის კვალზე გასვლა უკვე უმნიშვნელო მიკროსკოპული ბიოლოგიური მონაცემის მოპოვებითაც შეიძლება. ახალი ტექნოლოგიისა და მეთოდის საშუალებით, იმ ეჭვმიტანილის კვალზე გასვლაც არის შესაძლებელი, რომელმაც, თუნდაც იმ კიბის სახელურს მოჰკიდა ხელი, რომელსაც მის მსგავსად, ათი ათასობით ადამიანი შეეხო. ამჟამად, გამომძიებლებისთვის ერთადერთი პრობლემა დამნაშავის იდენტიფიცირება და მისი დაკავებაა, - აცხადებენ ამერიკელი ექსპერტები.

ამერიკელ ექსპერტ-კრიმინალისტებს არც ბრიტანელი კოლეგები ჩამორჩებიან. 2008 წლის შემოდგომაზე, ბრიტანელმა ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მოგვარეებს შორის აღმოაჩინეს გენეტიკური კავშირის ისეთი ფრაგმენტი, რომლის მიხედვითაც, მოკლულის სახელის დადგენა შეუძლიათ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამ მეთოდის გამოყენება, მხოლოდ მამრობითი სქესის ადამიანებზეა შედეგიანი.

როგორც ბრიტანელი მეცნიერები და კრიმინალისტები განმარტავენ, ახალი ტექნოლოგია იმ ქრომოსომების ანაილზს ეყრდნობა, რომლებიც მამიდან ვაჟზე ზუტად ისევე გადადის, როგორც - გვარი.

ახალი ტექნოლოგიის გადამოწმებაში 2500-მა მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა. კვლევამ დაადგინა, რომ გენეტიკური კოდის მიხედვით, ადამიანის გვარის დადგენა შეიძლება. **ქრომოსომებსა და გვარს შორის აღმოჩენილი კავშირი, კრიმინალისტების მუშაობას მნიშვნელოვნად გააადვილებს,** - აცხადებს სენსაციური კვლევის ავტორი, დოქტორი ტური კინგი.

ჩრდილოეთ კორეა თანამგზავრის გასაშვებად ემზადება

მარიკა იაშვილი

AFP' 2009

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი მთავრობის წევრებთან ერთად სამხედრო ბაზაზე სატელიტის გაშვების მზადყოფნას ამოწმებს

ბოლო პერიოდში გავრცელებულ ინფორმაცის იმის თაობაზე, რომ ჩრდილოეთ კორეა რაკეტის გასაშვებად ემზადება, ფხენიანში ოფიციალურად ადასტურებენ, თუმცა აცხადებენ, რომ ეს იქნება არა ბალისტიკური რაკეტა, როგორც მისი ოპონენტები ვარაუდობენ, არამედ ექსპერიმენტული ხელოვნური თანამგზავრი.

თანამგზავრის გაშვების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით არ სახელდება, თუმცა ფხენიანში მიიჩნევენ, რომ მისი წარმატებული გაშვება ჩრდილოეთ კორეის მიერ კოსმოსურ ტექნოლოგიებში წინგადადგმული სერიოზული ნაბიჯი იქნება, რაც კომუნისტურ კორეას ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნად აქცევს.

ოფიციალური განცხადებებისა მიუხედავად, ჩრდილოეთ კორეას არ ენდობიან ექსპერტები, რომლებიც ვარაუდობენ, რომ სატელიტი მხოლოდ საბაბია, სინამდვილეში კი ფხენიანი შორეული მოქმედების ბალისტიკური რაკეტის გამოცდას გეგმავს.

ჩრდილოეთ კორეაში კი აცხადებენ, რომ მშვიდობიანი კოსმოსური პროგრამის განხორციელების სრული უფლება აქვთ. საინტერესოა, რომ ზუსტად ასეთივე ფორმულირება უძღოდა წინ ოფიციალური ფხენიანის მხრიდან 1998 წელს რაკეტა "ტეპხოდონ 1"-ის გაშვებას.

დასავლელი და სამხრეთ კორეელი ექსპერტები ერთსა და იმავე აზრზე დგანან და ფიქრობენ, რომ სინამდვილეში ფხენიანი ახალი ბალისტიკური რაკეტის "ტეპხოდონ 2"-ის გამოცდას გეგმავს, რომელსაც თეორიულად შეუძლია, ალიასკამდე და ჰავაის კუნძულებამდე მიაღწიოს.

მათ ეჭვს ისიც ამყარებს, რომ სატელიტის გაშვება, სავარაუდოდ, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე სწორედ იმ ბაზიდან უნდა მოხდეს, საიდანაც ჩრდილოეთ კორეამ ერთხელ უკვე გაუშვა "ტეპხოდონ 2." ეს 2006 წლის ოქტომბერში მოხდა. თუმცა ბალისტკური რაკეტის პირველი გამოცდა წარუმატებელი აღმოჩნდა. გაშვებიდან ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ის ზღვაში ჩავარდა.

როგორც ჩანს, რაკეტის გამოცდა არცთუ შორეული პერსპექტივაა. ორი დღის წინ სამხედრო ჟურნალ "ჯეინს დიფენს ვიქლიში" დაიბეჭდა თანამგზავრული ფოტოების ანალიზი, რომელთა საფუძველზე ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ "ტეპხოდონ 2"-ის გაშვება უახლოეს დღეებში მოხდება.

ჩრდილოელი მეზობლის გეგმებს დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამხრეთ კორეაში. ორშაბათს ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ჩრდილოეთ კორეის მხრიდან "პირდაპირ და სერიოზულ" მუქარაზეა საუბარი.

სამხრეთ კორეელი სამხედროების ანგარიშიდან ჩანს, რომ ბოლო პერიოდში ფხენიანმა საშუალო რადიუსზე მოქმედების რაკეტები შექმნა და სპეცნაზი და სამხედრო საზღვაო ფლოტი გააძლიერა. მოხსენებაში გამოთქმულია შეშფოთება ჩრდილოელთა გეგმების გამოც, რომლებიც შორეული მოქმედების რაკეტების გამოცდას შეეხება.

სპეციალისტთა შეფასებით, ჩრდილოეთ კორეას ჯერჯერობით არ გააჩნია შორეული მოქმედების ბალისტიკური რაკეტების წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიები. მათი აზრით, ქვეყანაში ამჟამად პლუტონიუმის მარაგის რაოდენობა 40 კილოგრამს შეადგენს, რაც, საშუალოდ, 5 ქობინის წარმოებისთვის არის საკმარისი.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება და ჩრდილოეთ კორეას ბალისტიკური რაკეტების წარმოება არ შეუძლია, მათი განცხადებების ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ოფიციალურ ფხენიანს ამერიკასთან უპირატესობის მოპოვება სურს დიალოგში, რომლის მთავრი თემა იქნება "დახმარება - განიარაღების სანაცვლოდ".

შეძლებს თუ არა ფხენიანი ვაშინგტონთან პოზიციების გამყარებას, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩრდილოელებმა ნამდვილად მიაღწიეს იმას, რომ სეულთან ისედაც რთული ურთიერთობები კიდევ უფრო გააფუჭეს. კორეის ნახევარკუნძულზე ვითარების დაძაბვა სამხრეთელთა მიერ ბოლო დროს მიღებულმა გადაწვეტილებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც, ფხენიანი სეულისგან დახმარებას მხოლოდ ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმის შემთხვევაში მიიღებს. ურთიერთობების გამწვავების შედეგად ჩრდილოეთ კორეამ სულ ახლახანს ჩაშალა ყველა სამშვიდობო შეთანხმება, რასაც სეულთან ბოლო პერიოდში მიაღწია.

ჩრდილოეთ კორეის გეგმებს უკვე მოჰყვა გამოხმაურება იმ ქვეყნებში, რომლებთან ერთადაც ოფიციალური ფხენიანი ექვსმხრივ მოლაპარაკებათა მაგიდას უნდა მიუჯდეს.

სამხრეთ კორეაში ეჭვქვეშ აყენებენ იმას, რომ ფხენიანი მართლაც აპირებს თანამგზავრის გაშვებას, თუმცა სეული ამ შემთხვევაშიც უკმაყოფილოა მეზობელი ქვეყნის გეგმების გამო. სამხრეთში მიიჩნევენ, რომ ჩრდილოეთის ამგვარი ღონისძიებები და განცხადებები მათი დაშინებისკენ არის მიმართული. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრ ლი სან-ჰის განცხადებით, ისინი ფხენიანისთვის შესაფერისი პასუხის გასაცემად ემზადებიან.

იაპონიასა და ჩინეთში აცხადებენ, რომ ამჟამდ შექმნილი ვითარების შესწავლით არიან დაკავებულნი და ჩრდილოეთ კორეას რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისკენ მოუწოდებენენ. რაც შეეხება აშშ-ს, რომლის ყურადღების მიპყრობასაც, ექსპერტთა ვარაუდით, ოფიციალური ფხენიანი ცდილობს, გასულ კვირას აზიურ ტურნეში მყოფმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ფხენიანის გეგმები დაგმო და განაცხადა, რომ ეს ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანს.

ბარაკ ობამა ფედერალური ბიუჯეტის ორჯერ შემცირებას გეგმავს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი პრეზიდენტობის პირველი ვადის ამოწურვამდე ბიუჯეტის დეფიციტის განახევრებას გეგმავს. ობამას განცხადებით, ამის მიღწევა რთული იქნება. **"მე უარს ვამბობ, დავუტოვო ვალი ჩვენს შვილებს, რომლის დაბრუნებასაც ისინი ვერ შეძლებენ. ჩვენ უნდა გავაკონტროლოთ ჩვენი ხარჯები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე უკვე დღეს უნდა ავიღოთ,"** - განაცხადა ობამამ. აშშ-ს პრეზიდენტმა წინა მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაში და დეფიციტის ნამდვილი მაჩვენებლის დაფარვაში დაადანაშაულა და განმარტა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ეკონომიკური კრიზისის მოგვარება რომელიმე კონკრეტული პარტიის ინტერესებში არ შედის. **"რესპუბლიკელები, ისევე როგორც დემოკრატები, სამუშაო ადგილებს კარგავენ, სწორედ ამიტომ ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რათა მათ სამუშაო ადგილები დავუბრუნოთ,"** - განაცხადა თეთრი სახლის ხელმძღვანელმა. გასული წლის ბოლო თვეში ამერიკის ფედერალური ბიუჯეტი 83,6 მლრდ აშშ დოლარით გაიზარდა. 2009 წლის პირველივე მეოთხედში ამ თანხამ რეკორდული რაოდენობა - 485,2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ჯი-ეიჩ-ენი

რუსეთის პრეზიდენტმა თანამშრომლები დაითხოვა

რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში თანამშრომლების მასშტაბური შემცირება იგეგმება. დმიტრი მედვედევის პრესმდივან ნატალია ტიმაკოვას განცხადებით, 2009 წლის 1 მარტამდე სამსახურიდან 100 მუშაკის გაშვება და ხარჯების შემცირება იგეგმება. ცნობილია, რომ შემცირება ასევე შეეხებათ პრეზიდენტის სრულუფლებიან წარმომადგენლებსაც. ნატალია ტიმაკოვას განმარტებით, პრეზიდენტის განკარგულების თანახმად ადმინისტრაციის შტატების შემცირება შეეხება როგორც არსებულ, ასევე ვაკანტურ თანამდებობებსაც. მისივე თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ახალი თანამშრომლების მიღება დროებით შეწყდება. ამჟამად რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, დაახლოებით, 1.5 ათასი ადამიანია დასაქმებული.

მედიანიუსი

"აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროგრამას ბელარუსიც მიუერთდება

ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტერიალის გადაწყვეტილებით, ბელარუსი "აღმოსავლეთ პარტნიორობის" პროგრამას შეუერთდება. ამ პროგრამის მიზანი ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის სხვადასხვა საკითხის დარეგულირებაა და მასში მონაწილეობენ საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი და აზერბაიჯანი. ბოლო პერიოდამდე ოფიციალური ბრიუსელი ამ პროგრამაში ბელარუსის ჩართვას ეწინააღმდეგებოდა, რადგან ევროკავშირის ლიდერების აზრით, "ლუკაშენკო ევროპის უკანასკნელი დიქტატორი იყო." თუმცა, ბოლო პერიოდში ვითარება შეიცვალა და ეს მინსკში საგარეო ურთიერთობათა და უშიშროების საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ხავიერ სოლანას ვიზიტმაც დაადასტურა. სავარუდოდ, სწორედ ევროკავშირის გააქტიურების გამოა, რომ ოფიციალური მინსკი ჯერჯერობით კრემლის ზეწოლას უძლებს და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას არ ცნობს.

მედიანიუსი

ბერლინში აეროპორტების თანამშრომლები გაიფიცნენ

ბერლინის აეროპორტი გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში არ მუშაობდა. გადაიდო 14 რეისი და შეჩერდა - 50. აეროპორტში მომუშავე პერსონალი ანაზღაურების 8 პროცენტამდე გაზრდას ითხოვდა. თავის მხრივ, ხელმძღვანელობა გაფიცულ თანამშრომლებს ხელფასის 2.6 პროცენტით მომატებას და ერთჯერადი პრემიის სახით 1250 ევროს სთავაზობდა. აეროპორტის კოლექტივი და ხელმძღვანელობა მოლაპარაკების მაგიდას უკვე მეხუთედ მიუჯდა. კადრების განყოფილების უფროსის განმარტებით, ხელმძღვანელობა მზად იყო გარკვეულ კომპრომისებზე წასასვლელად, თუმცა პერსონალისგანაც ელოდებოდა დათმობებისთვის მზადყოფნას. ეს მიმდინარე წლის თებერვალში უკვე მეორე გამაფრთხილებელი აქციაა.

მედიანიუსი

დენის როსი -საიდუმლო მოლაპარაკებების მომხრე

კიდევ ერთი გამოცდილი დიპლომატი ობამას გუნდში

ხათუნა გაბიევი

შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციას კიდევ ერთი ვეტერანი დიპლომატი შეემატა. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას ბარაკ ობამას მრჩეველი დენის როსი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ექსპერტად დასახელდა. სხვათა შორის, მას სახელმწიფო მდივნობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატადაც განიხილავდნენ.

დენის როსს შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს. იგი აწარმოებდა ხანგრძლივ მოლაპარაკებებს არაბულ-ებრაული კონფლიქტის რეგულირებაზე, ხოლო ჯორჯ ბუში უფროსისა და ბილ კლინტონის მმართველობისას მნიშვნელოვანი დიპლომატიური თანამდებობები ეკავა.

სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის გადაწყვეტილებით, დენის როსი მისი თანაშემწე გახდა სპარსეთის ყურისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის საკითხებში.

"ესაა რეგიონი, სადაც შეერთებული შტატები ორ ომს აწარმოებს და გამუდმებით სამხედრო გამოწვევების, ტერორიზმის და ბირთვული აირაღის გავრცელების საფრთხის პირისპირ დგას," - აღნიშნულია საგარეოპოლიტიკური უწყების კომუნიკეში.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, დენის როსის მოვალეობა რეგიონში შექმნილი მდგომარეობისა და იქ განვითარებული მოვლენების ანალიზი და ჰილარი კლინტონთან კონსულტაციები იქნება.

გავლენიანი ამერიკული გამოცემა "ვაშინგტონ პოსტის" თანახმად, უმთავრესი პრობლემა, რასაც როსი შეეჭიდება, ირანი იქნება.

"სპარსეთის ყურის აუზის დარგში მრჩეველი ირანის საკითხში კონსულტანტია," - წერს "ვაშინგტონ პოსტი".

როსთან ერთად ამერიკელ დიპლომატთა გუნდში არიან ახლო აღმოსავლეთში შეერთებული შტატების საგანგებო წარმომადგენელი ჯორჯ მიტჩელი და ავღანეთში შეერთებული შტატების პრეზიდენტის წარმომადგენელი რიჩარდ ჰოლბრუკი.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ რობერტ ვუდის განცხადებით, ახალ სამუშაო ადგილზე როსს თავისი სოლიდური დიპლომატიური გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა ექნება. ვუდმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ოფიციალური ვაშინგტონისთვის ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის რეგიონების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ექსპერტთა შეფასებით, ობამას ადმინისტრაციისთვის სხვა საკითხებთან ერთად ყველაზე რთული ოფიციალური თეირანისადმი პოლიტიკის შემუშავება და გატარება იქნება.

ზოგიერთი დამკვირვებლის ვარაუდით, ამერიკული მხარე ირანთან დაახლოებისთვის ყველაფერს ეცდება. ოფიციალური თეირანის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების მაგიდასთან ამერიკელი დიპლომატები 1979 წლიდან აღარ დამსხდარან.

ირანთან ურთიერთობების დათბობისთვის მზაობაზე ბარაკ ობამამ ინაუგურაციის შემდეგ პირველივე ინტერვიუში ისაუბრა.

"ამერიკა მზადაა ირანს ხელი გაუწოდოს თუ კი თავად ოფიციალური თეირანი გახსნის მუშტს," - აღნიშნა შეერთებული შტატების დემოკრატმა პრეზიდენტმა.

ორი ქვეყნის მოლაპარაკებების უმთავრესი თემა, რასაკვირველია, იქნება ირანის ბირთვული პროგრამა და ოფიციალური თეირანის დათანხმება - შეწყვიტოს ტერორისტების მხარდაჭერა.

დენის როსი ადრე ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამკაცრების მოთხოვნით გამოდიოდა, თუმცა ბოლო დროს მიანიშნებდა იმაზეც, რომ ვაშინგტონისთვის აუცილებელი იყო თეირანთან მოლაპარაკებების დაწყება. დიპლომატის აზრით, ირანთან დიალოგის წარმოება საიდუმლოდ უნდა მოხდეს, ეს მხარეებს საშუალებას მისცემს ნაადრევად არ გასცენ ახსნა-განმარტება, რათა მოლაპარაკებებს საფრთხე არ შეექმნას.

ანტიუტოპიური ოცნება: სამყარო - 2012

პუტინი - კრემლში, მედვედევი - ციხეში, ახალი ევროპელი ლიდერები და ამერიკის პირველი ქალი პრეზიდენტი

მარიკა იაშვილი

მსოფლიოს კვლავ ეკონომიკური კრიზისი ტანჯავს. ატლანტიკის ორივე მხარეს პოლიტიკოსები, ფინანსისტები და ექსპერტები პრობლემიდან გამოსავალს ელიან. ამ დროს კი პოლიტიკური ანალიტიკოსები და მიმომხილველები მსოფლიოს მომავალზე სულ უფრო საინტერესო და შიგადაშიგ იუმორისტულ პროგნოზებს აკეთებენ.
არსებობს საფრთხე, რომ ფინანსური კრიზისი მსოფლიოს გარდაუვალ პოლიტკურ ქაოსამდე მიიყვანს, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა XX საუკუნის 30-იან წლებში. როგორი იქნება მსოფლიო 4 წლის შემდეგ? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაზეთ "ფაინენშალ თაიმსის" პოლიტიკურმა მიმომხილველმა გედეონ რახმანმა სცადა.

AFP' 2009

პუტინი მედვედევს სიურპრიზს უმზადებს - დაპატიმრება ერთი წლის შემდეგ.

"2012 წლის 7 ნოემბერს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ჩიკაგოში, სასტუმრო ჰილტონის საბანკეტო დარბაზში თავისი მომხრეების წინაშე გამოვა და დამარცხებას აღიარებს." ასე იწყებს პასუხის გაცემას მიმოხილველი მის მიერვე დასმულ კითხვაზე - როგორი იქნება მსოფლიო 4 წლის შემდეგ? რახმანს მიაჩნია, რომ 2012 წლისთვის ობამას ადმინისტრაცია უკვე ამერიკის ეკონომიკური პრობლემების მსხვერპლი იქნება, ახალი პრეზიდენტის პოსტს კი სარა პეილინი დაიკავებს. პეილინი გამარჯვებას საშინაო პოლიტიკის საკითხებში პოპულიზმისა და საგარეო პოლიტიკის ნაციონალიზაციის წყალობით მოიპოვებს, - აცხადებს გედეონ რახმანი. ახალ თანამდებობას მას, პირველ რიგში, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი მიულოცავენ.

რახმანს მიაჩნია, რომ ობამას პოლიტიკისთვის ყველაზე სერიოზული დარტყმა ირანის მიერ 2011 წელს ბირთვული იარაღის წარმატებული გამოცდა იქნება. რესპუბლიკელები , ავტორის აზრით, ამით კარგად ისარგებლებენ და მთელს ამერიკას დაარწმუნებენ, რომ ირანის მიერ გასულელებული ობამა მეორე ჯიმი კარტერად იქცა. არადა, ობამას ხომ დიდი იმედი ჰქონდა, რომ ირანთან ამ საკითხში უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწევდა.

ირანის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდა ისრაელის პოლიტიკას კიდევ უფრო მემარჯვენეს გახდის.

რაც შეეხება ჩინეთს, ის 2012 წლისთვის, რახმანის აზრით, უმუშევრობის სერიოზული პრობლემის წინაშე დადგება და მისი პროდუქციის ექსპორტი მთელს მსოფლიოში კრახს განიცდის.

გედეონ რახმანს მიაჩნია, რომ 2012 წლისთვის ერაყში უკვე აღარ იქნებიან ამერიკული ჯარები, რადგან ობამა თავის წინასაარჩევნოდ დადებულ პირობას ქვეყნიდან სამხედრო კონტინგენტის გამოყვანის თაობაზე პირნათლად შეასრულებს. თუმცა იმ დროისთვის ამერიკელები ამას არა პრეზიდენტის დამსახურებად, არამედ ისედაც გარდაუვალ მოვლენად მიიღებენ. ობამას რეპუტაციას კიდევ ერთ დარტყმას ავღანეთიდან ნატო-ს ძალების მოუწესრიგებლად გამოყვანა მიაყენებს. აშშ და მისი მოკავშირეები ქვეყანას დატოვებენ, თუმცა დისტანციიდან მის მონიტორინგსა და შესაძლო ტერორისტთა განადგურებას მაინც გააგრძელებენ. ამ ოპერაციების არაოფიციალური სახელი კი "გაანადგურე თხუნელა" იქნება.

სტატიის ავტორის აზრით, საინტერესო იქნება ამ საკითხზე პუტინის პოზიციაც, რომელიც განაცხადებს, რომ "ამერიკელთა ქედმაღლობას ბოლო მოეღო."

ძალზე საინტერესო მომავალს უწინასწარმეტყველებს მიმომხილველი რუსეთის ფედერაციას. მისი აზრით, 2010 წელს ვლადიმირ პუტინი ყოველგვარი პრობლემების გარეშე კიდევ ერთხელ "გამეფდება" კრემლში. მის ხელახალ აღზევებას კი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეუწყობენ ხელს, რომლებიც არსებული ფინანსური კრიზისის სერიოზულობის გამო ძლიერი ლიდერის დაბრუნებას მოითხოვენ. პრეზიდენტ მედვედევისთვის მინიშნება გასაგები აღმოჩნდება და 2010 წელს ის თავის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ადგილს საკუთარი ნებით დაუთმობს. თუმცა, რახმანის აზრით, პუტინს მედვედევისთვის სერიოზული სიურპრიზი ექნება მომზადებული - დაპატიმრება ერთი წლის შემდეგ.

გედეონ რახმანს პროგნოზებში არც საქართველო და უკრაინა გამორჩენია. მისი ვარაუდით, ორი ქვეყნის დემოკრატიული, თუმცა არამყარი მთავრობები რამდენიმეკვირიან სახალხო გამოსვლებს ვერ გაუძლებენ და დაემხობიან. არეულობის ორგანიზებაში რუსეთი იქნება ეჭვმიტანილი, თუმცა ამას ვერავინ დაამტკიცებს. ამერიკელთა და ევროპელთა პროტესტი კი არადამაჯერებელი იქნება. პირად საუბრებში, რახმანის აზრით, დასავლელი პოლიტიკოსები სულ უფრო ხშირად გაიმეორებენ, რომ "რუსეთსა და ფაშიზმს შორის მხოლოდ პუტინი დგას."

მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს უწინასწარმეტყველებს სტატიის ავტორი გერმანიაც. მისი ვარაუდით, 2009 წელს მერკელის ხელისუფლება დაემხობა და გერმანიის მართვა არასტაბილური კოალიციებისა და არაფრით გამორჩეული კანცლერების ხელში აღმოჩნდება.

ცვლილებებს ელის მიმომხილველი დიდ ბრიტანეთშიც, სადაც ახალ პრემიერ-მინისტრად დევიდ კამერონს აირჩევენ კონსერვატიული პარტიიდან . თუმცა კამერონი, რომლის საარჩევნო სლოგანი იყო "შემოვუშვათ მზის სხივი", ნისლიანი ალბიონის ისტორიაში ყველაზე არაპოპულარული პრემიერ-მინისტრი იქნება.

გედეონ რახმანის პროგნოზებში ხვდება ნიკოლა სარკოზიც, რომელიც 2012 წლისთვის ევროკავშირის დომინანტი პოლიტიკოსი იქნება. კარლა ბრუნისთან გაყრა და მადონაზე დაქორწინება პოლიტიკური საქმეებიდან პრეზიდენტს მხოლოდ ცოტა ხნით მოწყვეტს. სარკოზი წარმატებით გადაიტანს ყველა იმ ბრალდებას, რომლის მოსმენაც იმის გამო მოუწევს, რომ, როგორც "ფაინენშალ თაიმსის" ანალიტიკოსი ვარაუდობს, საფრანგეთის პრეზიდენტი თავის ქვეყანას ევროკავშირის კონკურენციისა და სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამიდან გამოიყვანს. საფრანგეთის ყველა წამყვან ბანკსა და საწარმოო კონგლომერატს ოფიციალურად დაევალება, ინვესტიციების 90 პროცენტი საფრანგეთშივე განახორციელონ. რახმანი ვარაუდობს, რომ სარკოზის ამ ქმედებებს ევროკავშირის წევრი ქვეყნები დიდი მონდომებით გააკრიტიკებენ, მაგრამ შემდეგ ასევე დიდი მონდომებით მიბაძავენ მას.

საინტერესოა, გამართლდება თუ არა გედეონ რახმანის პროგნოზები, მაგრამ ჯერ მხოლოდ 2009 წელია და მსოფლიომ კონცენტრაცია არა სავარაუდო პოლიტიკურ ქაოსზე, არამედ დღეს არსებულ ფინანსურ კრიზისზე უნდა გააკეთოს, რომლის პიკიც, ექსპერტთა ვარაუდით, ჯერ კიდევ არ დამდგარა.

შრი ლანკაში სამოქალაქო ომი მთავრდება

AFP' 2009

შრი ლანკის არმია აჯანყებულთა უკანასკნელ ქალაქს მიადგა.

შრი ლანკის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, გუშინ შრი ლანკის არმიის შენაერთები უკანასკნელ მსხვილ დასახლებულ პუნქტში, ქალაქ პუტუკუდიურუპუში შევიდნენ, რომელსაც აქამდე "ტამილ ილამის განმათავისუფლებელი ვეფხვები" იცავდნენ. ბრძოლები უკვე ქალაქის ქუჩებში მიმდინარეობს. სამთავრობო ჯარები სამი მხრიდან - ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან უტევენ. მათ ბოლო რამდენიმე კვირაა ქალაქი ალყაში ჰქონდათ მოქცეული.

ტამილელი ვეფხვები ოდესღაც დაუმარცხებელ ძალად მიიჩნეოდნენ, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში მათ დაკარგეს იმ ტერიტორიების 97 პროცენტი, რომელსაც ადრე აკონტროლებდნენ და დღეს გააფთრებით იცავენ 70 კვადრატული კილომეტრი ფართობის მქონე მინის ნაგლეჯს.

პუტუკუდიურუპუ სეპარატისტების უკანასკნელი დასაყრდენი გახდა. "ვეფხვებმა" ის გამაგრებულ რაიონად აქციეს. სამთავრობო ჯარების შეტევას წინააღმდეგობას უწევენ არა მარტო კუთხეში მიმწყვდეული მებრძოლები, არამედ 70-80 ათასი მშვიდობიანი მცხოვრები, რომლებსაც სეპარატისტები ცოცხალ ფარად იყენებენ. შრი ლანკის დაზვერვის ცნობით, "ვეფხვების" უცვლელი ლიდერი ველუპილაი პრაბხაკარანიც ქალაქში იმყოფება და თვითონ ხელმძღვანელობს აჯანყებულებს.

ორიოდე დღის წინ ხელისუფლებამ უარყო სეპარატისტების წინადადება დაზავების თაობაზე და განაცხადა, რომ აპირებს საბოლოოდ გაანადგუროს აჯანყებულები და დაამთავროს 25-წლიანი სამოქალაქო ომი. "ვეფხვები" დაზავებამდე იარაღის დაყრას არ თანხმდებიან, მთავრობა კი ამ პირობის გარეშე მოლაპარაკებას არ გეგმავს.

ამ ქალაქის აღების შემდეგ აჯანყებულებს შეიძლება მხოლოდ რამდენიმე სოფელი დარჩეთ. შრი ლანკელი სამხედროების თქმით, ომი რამდენიმე დღეში დამთავრდება. ჟურნალისტებს არა აქვთ აჯანყებულების მხარეზე გადასვლის და ინფორმაციის შემოწმების საშუალება.

ინდოეთი, რომელიც ადრე მონაწილეობდა კიდეც კონფლიქტში, ორივე მხარისგან მოითხოვს ცეცხლის დროებით შეწყვეტას მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოდ გამოყვანის მიზნით.

არ არის გამორიცხული, გაგრძელდეს პარტიზანული ომი. სულ რამდენიმე დღის წინ შრი ლანკის დედაქალაქში "ვეფხვების" თვითმფრინავებმა ბომბი ჩამოაგდეს, არადა სამთავრობო ჯარებს აჯანყებულთა ყველა აეროდრომი განადგურებული ეგონათ. თუმცა ორივე თვითფრინავი მთავრობის ჯარებმა ჩამოაგდეს.

"ტამილ ილამის განმათავისუფლებელი ვეფხვების" დაჯგუფება შეიქმნა 1976 წელს, ტამილების უმცირესობისა და სინგალების უმრავლესობას შორის მომხდარი ეთნიკური კონფლიქტის შემდეგ. მისი ლიდერი, ველუპილაი პრაბხაკარანი აპირებდა შეექმნა ეთნიკური ტამილების დამოუკიდებელი სახელმწიფო ილამი შრი-ლანკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც უმეტესწილად ტამილები ცხოვრობენ. შეიარაღებულ კონფლიქტს, დაახლოებით, 70 ათასი ადამიანი ემსხვერპლა.

რევიუ

ადმოაჩინე კაბადოკია

ეკა ჩიკვაიძე

რამდენიმე თვის წინ კაბადოკიისკენ ქართველთა ერთი პატარა ჯგუფი დაიძრა. თავად ეს ადამიანები საკუთარ თავს კარველებს უწოდებენ. უმრავლესობა ჩვენი მკითხველისა უკვე მიხვდება, თუ რაზე და რომელ ადამიანებზეა საუბარი. www.karavi.ge - ამ ფორუმის წევრთა შორის სხვადასხვა ტიპი გასვლების ორგანიზებაში ერთ-ერთი "იუზერი" განსაკითებით აქტიურია. ის გოგა ჩანადირია, ფოტოგრაფი, რომელმაც მოგზაურობა კაბადოკიაში საკუთარ, მორიგ ფოტოსერიად აქცია. დაბრუნებულმა კი მისი განსაკუთრებული სილამაზის ამსახველი ფოტოები იმ საზოგადოებას წარუდგინა, რომელიც ჭავჭავაძის გამზირზე კაფე "დისქავერის" სიმყუდროვეს ეშურებიან ხოლმე.

წმინდა ნინოს სამშობლოს ნახვის მორიგი ახდენილი ოცნება მისთვის საკმაოდ შთამბეჭდავი და ამაღელვებელი აღმოჩნდა. მეგობრებთან ერთად წმინდა ნინოს კვალის ძიებაში ფრესკების, სამონასტრო კომპლექსებისა და კაბადოკიის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების ამსახველი ფოტოების გამოფენა, თურქეთის საელჩოს მხარდაჭერით კაფე "დისქავერში" 20 თებერვალს გაიხსნა. კაბადოკიის თემაზე შექმნილი ნამუშევრების სანახავად უამრავმა დამთვალიერებელმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა კულტურული ინსტიტუციის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.

"ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მინდოდა კაბადოკია მენახა და ეს სურვილიც ავიხდინე. მე ვფიქრობ ეს საოცარი სამყარო და ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია დედამიწაზე. აღფრთოვანებული ვარ იმ ფრესკებით, რომელიც მე ვნახე და მისი სილამაზე ჩემი ფოტოების საშუალებით გავუზიარე საზოგადოებას. სულ მქონდა იმის განცდა, რომ წმინდა ნინოს ნაკვალევზე დავაბიჯებდი და ეს მუხტი უფრო მეტ მოკრძალებას მიჩენდა", - აღნიშნავს გოგა ჩანადირი. ულამაზეს სამყაროში მოგზაურობას ფოტოგრაფი მომავალშიც აპირებს, თუმცა უკვე ეთნოგრაფიული და ყოფითი ცხოვრების გაცნობის თვალსაზრისით, რისი ნახვის საშუალებაც დროის სიმწირის გამო ამჟამად არ მიეცა. უახლოესი თვეების განმავლობაში, უფრო კონკრეტულად კი 1 ივნისისთვის (წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღე) კაბადოკიის თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა ბათუმში გადაინაცვლებს და სპეციალურად ბათუმის მოსახლეობისთვის გამოიფინება.

ინდონეზიის, გერმანიის, შრილანკის, პანამის, მალდივის კუნძულების, ამჟამად კაბადოკიის და სხვა მრავალ თემაზე გაკეთებული გამოფენების შემდეგ, გოგა ჩანადირის ოცნებას მთელი მსოფლიოს ქვეყნებზე გაკეთებული გამოფენები წარმოადგენს, თუმცა მოგზაურობის ყველაზე დიდი სურვილი მაინც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გააჩნია, რასაც, როგორც თავად აცხადებს ახლო მომავალში განახორციელებს. მანამდე, კი თბილისში სამცხე-ჯავახეთის თემაზე გამოფენას შემოგვთავაზებს, რითიც ორი ერის ერთმანეთთან დაახლოებას შეეცდება.

"სამცხე-ჯავახეთის თემაზე საკმაოდ დიდი ალბომი მაქვს გაკეთებული. ეს საქართველოს მშვენებაა, რომელიც ჩვენ საკმაოდ გაუცხოებული გვაქვს და ქართველები მათში რატომღაც მხოლოდ მტრებს ხედავენ. მე მინდა დავანახო ხალხს, რომ ამ რეგიონის მოსახლეობა საშიში არ არის და მათ უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ", - ამბობს ფოტოგრაფი.

გოგა ჩანადირის პერსონალური გამოფენა 5 მარტამდე გაგრძელდება, კაფე "დისქავერი" კი იტალიის საელჩოსთან ერთად იტალიელი გეოლოგის მიერ სვანეთის თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენით წარმოგვიდგება. კულტურულ ღონისძიებებზე ორიენტირებული კაფე უკვე რამდენიმე თვეა არსებობს და გამოფენების სახით თავის კლიენტებს სხვადასხვა კუთხის "აღმოჩენაში" ეხმარება. კაფეში გამართული პირველი გამოფენა აფრიკის თემას ეხებოდა და სახელწოდებაც შესაბამისი იყო შერჩეული - "დისქავერ აფრიკა". შემდეგ იყო "დისქავერ ნიაპოლი", ტაო-კლარჯეთის თემაზე გაკეთებული გამოფენა და ა.შ.

22 მარტისთვის კაფეში ფოტოკონკურსი "დისქავერ რაგბი" გაიმართება, სადაც ფარული კენჭისყრით საუკეთესო ფოტოსურათს დაასახელებენ. გამარჯვებული ფოტო მომავალი წლის რაგბის კავშირის კალენდრის პირველ გვერდზე დაიბეჭდება.

ᲐᲤᲘᲨᲘ

25 თებერვალი

თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
ექსპერიმენტული სცენა
კვერცხი
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
ქაქუცა ჩოლოყაშვილი
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

თეატრი სხვენში
თითების თეატრი
Pas Action
დასაწყისი: 19.00

სამეფო უბნის თეატრი
ზღვა რომელიც შორია
რეჟსიორი თემურ ჩხეიძე
დასაწყისი: 19.00

თეატრალური სარდაფი
სულიკო
რეჟისორი დუტა სხირტლაძე
დასაწყისი: 19.00

თეატრი ათონელზე
ოკეანედალეულები
დასაწყისი: 19.00

კინო

"ამირანი"
ქორწილის დღე
დასაწყისი: 18.45; 20.30; 22.15
ოპერაცია ვალკირია
დასაწყისი: 14.15; 18.15
იგორი
დასაწყისი: 12.15; 18.00
ვიკი, კრისტინა, ბარსელონა
დასაწყისი: 14.00; 16.00; 20.00; 22.00

რუსთაველი
იგორი
დასაწყისი: 12.45; 14.30; 16.15; 18.00
ოპერაცია ვალკირია
დასაწყისი: 13.00; 15.15; 17.30
ავსტრალია
დასაწყისი: 12.30; 15.30; 18.30; 21.30
როკენროლა
დასაწყისი: 13.00; 17.45; 22.00
ვარდისფერი პანტერა 2
დასაწყისი: 20.00
რაც ყველაზე ძალიან გიყვარს
დასაწყისი: 12.15; 15.00; 17.15; 19.30; 22.00

გალერეა

"N გალერეა"
ლევან ჭოღოშვილის პერსონალური გამოფენა

"ორნამენტი"
ტიხრული მინანქრის მუდმივი გამოფენა

"შარდენი"
ლევან მარგიანის ნამუშევრების გამოფენა

ვერნისაჟი
რაჭის პეიზაჟები

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ - ᲔᲞᲝᲥᲐ

"თუ კი შესაძლებელია თეატრში წმინდანს შეხვდე, ეს წოდება აუცილებლად მას ეკუთვნის"

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲐᲛᲐᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ



5 წლის განმავლობაში ყოველ დილით ვიღაც ქალს მისთვის ყვავილები მოჰქონდა. მიზეზი ყველასთვის საინტერესი იყო. მერე გაირკვა, რომ რეჟისორს ქალის ავადმყოფი შვილისათვის რაღაც დიდი დახმარება გაეწია. ქალი კი ასე უხდიდა მადლობას. ეს ერთი პატარა მოგონებაა იმ საოცარი სიყვარულით სავსე დღიდან, რომელიც თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში დიდი რეჟისორის, დოდო (დიმიტრი) ალექსიძის 99 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა.

როგორც ნათელა ურუშაძემ აღნიშნა, რთული იყო იქ დოდო ალექსიძის გარდაცვლილად მოხსენიება. თუ გარდაცვლილის სულის ადამიანებს შორის არსებობაა შესაძლებელი, მაშინ რეჟისორის სული აუცილებლად იყო ამ საღამოზე და ალბათ დიდი სიამაყის გრძნობით უცქერდა მასზე უზომოდ შეყვარებულ ხელოვან ადამიანებს, რომლებმაც რეჟისორს სიცოცხლეში არა მარტო სიყვარული უსახსოვრეს, არამედ (როგორც თვითონვე ყვებიან) ტკივილიც.

"თუ კი შესაძლებელია თეატრში წმინდანს შეხვდე, ეს წოდება აუცილებლად დოდო ალექსიძეს ეკუთვნის. მან აირჩია მართალი გზა და მოახერხა დარჩენილიყო ყველასათვის ყველაზე საყვარელი ადამიანი.

თუ კი რაიმე გამაჩნია ჩემს პატარა რეჟისურაში, რაც მიყვარს, ერთი მეასედია იმისა, რაც ჰქონდა დოდო ალექსიძეს და რაც მან გადმომცა. ეს იყო რაღაც აუხსნელი დღესასწაულის შეგრძნება. ამას ალბათ ვერც ასწავლი" - განაცხადა დარბაზში მყოფმა რობერტ სტურუამ.

დოდო ალექსიძემ თავისი მოღვაწეობა თეატრით დაიწყო. 1935 წლიდან იყო რუსთაველის სახელობის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (შემდეგ მთავარი). ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. სიცოცხლის ბოლომდე რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის რეჟისურისა და სამსახიობო ოსტატობის კათედრის გამგეა. დარბაზში მყოფი, დღეს უკვე ცნობილი მსახიობები სწორედ თავიანთ სტუდენტობას იხსენებდნენ და თავიანთ პროფესიულ განვითარებას რეჟისორს უმადლოდნენ.

ნაჩვენები იყო მისი რეპეტიციების, სპექტაკლების ვიდეოკოლაჟები. 70 წლისთავზე დოდო აბაშიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, კადრები რეჟისორის ცხოვრებიდან. ელდარ გეწაძე და სხვა მომღერლები ასრულებდნენ არიებს მისი სპექტაკლებიდან. სტუდენტები კი სპექტაკლების ნაწყვეტებს თამაშობდნენ სცენაზე.

დოდო ალექსიძის დადგმებიდან აღსანიშნავია სპექტაკლი "ალკაზარი", "სამშობლო", "გზაჯვარედინზე", პროფესორი მამლოკი", ჭიქა წყალი", "სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი", "საპატარძლო აფიშით", "პეპო", "დონ სეზარ დე ბაზანი", "ყვარყვარე თუთაბერი", "ბარათაშვილი", "მისი ვარსკვლავები", "ვასა ჟელეზნოვა", "ოჯახი" და ა.შ

რეჟისორს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს, უკრაინის, აფხაზეთის სსრ სახალხო არტისტის წოდება. შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილის, ტარას შევჩენკოს სახელობის პრემიები.

რობერტ სტურუამ თავისი შემოქმედების პირველი წლები და დოდო ალექსიძის საქართველოდან წასვლა გაიხსენა:

"მე მოვედი თეატრში და მოვიდა ბევრი ახალგაზრდა მსახიობი. დირექტორად დაინიშნა დორიან ყიფიანი და დაიწყო კონფლიქტი. მე არ ვადევნებდი თვალ-ყურს ამ კონფლიქტს და არ ვიცოდი რა როგორ ხდებოდა. ჩხუბობდა მთელი თბილისი. მგონი მთელი რესპუბლიკა იღებდა ამაში მონაწილეობას. მაშინ მივხვდი, რომ თეატრი არ არის უბრალო რამ და ზოგჯერ მას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს მთელი ქვეყნის ცხოვრებაში.

მაშინ 21 წლისები ვიყავით. ან უნდა წასულიყო დორიანი, ან ბატონი დოდო. მე და გელა მირიანაშვილი ვაგროვებდით ხელმოწერებს, რომ დარჩელიყო დორიანი და შევაგროვეთ კიდევაც. ასე მოხდა ეს ტრაგედია, რის შემდეგაც დიმიტრი ალექსიძემ მიატოვა ყველაფერი, ოჯახთან ერთად დატოვა საქართველო და გადავიდა კიევში. ახლა, როდესაც ამას ვიხსენებ, ტანში მზარავს! ჩვენ ვიყავით მონაწილები ამ საშინელებისა.

დოდო ჯერ იყო რუსული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. იქ, შემდეგ კი ფრანკოს სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. წარმოიდგინეთ რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელი რომ უკრაინელი იყოს. მე ხშირად მიწევს იქ ჩასვლა სპექტაკლების დასადგამად და ვხედავ როგორ უყვართ ეს კაცი.

შემდეგ მე და გია ყანჩელმა მოვიყვანეთ ცოლები და წავედით საქორწილო მოგზაურობაში კიევში, სადაც მამიდაჩემი გათხოვილი იყო ოპერის თეატრის დირექტორზე. მან მითხრა რომ ნაციონალურ თეატრში იდგმებოდა დოდო ალექსიძის სპექტაკლი. არ მინდოდა წასვლა, ძალიან მრცხვენოდა. სინდისი მქენჯნიდა, მაგრამ ძალით წამიყვანეს. დავჯექი დამალულად რომელიღაც რიგში. დასასრულს, ჩემმა ცოლმა, მამიდამ და გია ყანჩელმა გადაწყვიტეს მისულიყვნენ და მიელოცათ. აქაც იძულებით მიმიყვანეს. პირველად ისინი მივუშვი. დოდოს ძალიან გაეხარდა. შეძახილებით შეხვდა მათ. მერე მე დამინახა. გაჩერდა, თითი დამიქნია, გამიღიმა და მითხრა: - მოდი მაინც გაკოცო! "

დარბაზში "დაუპატიჟებელი" დავიწყებული სტუმრებიც იყვნენ. ასე უწოდა საკუთარ თავს ამირან შალიკაშვილმა და სხვების მსგავსად უამრავი საინტერესო და ასევე მხიარული ისტორია მოიგონა რეჟისორის ცხოვრებიდან.

გიგა ლორთქიფანიძემ ემოციური სიტყვა წარმოთქვა და დოდო ალექსიძეზე სევდიანი ამბავი გაიხსენა:

"მე და ჩემი ცოლი ჩავედით კიევში და მოვინახულეთ დოდოს ახალი ჯერ კიდევ აუთვისებელი ბინა. ჯერ კიდევ გაუხსნელ ყუთებზე იჯდა 2 ანგელოზივით ადამიანი: დოდო და თამარი მოწყენილი სახეებით და გამიჩნდა საშინელი პროტესტის გრძნობა. ეს იყო მიუღებელი ბინა ჩემთვის. გავიფიქრე: რა უნდა აქ, სადღაც კიევში ამ ქართული ნიჭით გაჟღენთილ კაცს? რატომ უნდა იყოს იგი ქართული კულტურის, ქართული თეატრის გარეშე? მე მახსოვს თბილისის ბინა, სითბოთი სიყვარულით გამთბარი, სადაც ცხოვრობდნენ უნიჭიერესი ადამიანები. დოდოს ოჯახთან ერთად ამ ქვეყნიდან წავიდა მთელი ქართული კულტურის უდიდესი ნაწილი. ქალბატონი თამარი და მისი უნიჭიერესი შვილები. რატომ უნდა დაესრულებინა სიცოცხლე გოგი ალექსიძეს პეტერბურგში? დოდო ალექსიძე ქართული თეატრის გარეშე უნდა ყოფილიყო? საერთოდ რა არის ეს?! რა ტრაგედია მოგვდევს?! არც ერთ ქართველ რეჟისორს თავისი ცხოვრება თავის თეატრში არ დაუმთავრებია! დაწყებული კოტე მარჯანიშვილით, რომელიც მიგდებული გარდაიცვალა მოსკოვში, სანდრო ახმეტელი - დახვრიტეს, ვასო შაუკიშვილი - სოხუმში გარდაიცვალა, თუნდაც არჩილ ჩხარტიშვილის ამბავი... დოდო ალექსიძე ფაქტობრივად მისი თეატრის გარეშე იყო და ა.შ რაღაც დაუნდობლობა გვჭირს ადამიანების მიმართ, განსაკუთრებით ნიჭიერი ადამიანების მიმართ.

როდესაც მარჯანიშვილის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი გავხდი დავურეკე დიმიტრის და შევთავაზე ნებისმიერი თანამდებობა, ოღონდ არ წასულიყო საქართველოდან. ტელეფონში გაისმა ხმამაღალი ტირილის ხმა. სამწუხაროდ, უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მე მიმაჩნია, რომ ეს არის ყველაზე დიდი სიკეთე თუ კი რაიმე გამიკეთებია ჩემს ცხოვრებაში. დოდო ალექსიძე იყო მთელი ეპოქა!"

საღამომდე რეჟისორის მეგობრებმა და ოჯახმა დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიაგეს პატივი მის ხსოვნას.

ლაითბოქსებზე ასახული საფრანგეთის მემკვიდრეობა

ქარვასლაში XX საუკუნის საფრანგეთია!

თამარ კიკნაველიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ალექსანდრე დიუმას სახელობის კულტურის ცენტრისა და საფრანგეთის საელჩოს ინიციატივით, თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიხსნა ექსპოზიცია - XX საუკუნის არქიტექტურული მემკვიდრეობა საფრანგეთში .

აღნიშნული ფოტოგამოფენა მრავალმხრივ საინტერესოა. უპირველესად კი იმით, რომ მასზე ასახულია თანამედროვე სამყაროს ახალი თვალით დანახვისა და თითოეული მოქალაქის ცხოვრების პირობების შესწავლის არაერთი მცდელობა, რაც ჩვენთვის, ქართველებისთვის, მეტად პრობლემატური და შესაბამისად, აქტუალური საკითხია.

ამ ექსპოზიციის ორგანიზებით, ფრანგები ერთგვარ პოპულარიზაციას უწევენ იმას, რაც მათი ქვეყნის კულტურული მონაპოვარია და ამასთან, ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ ახალმშენებლობების პროცესს კონტექსტი და მოტივაცია მოუძებნონ - საფრანგეთში ხომ ძველის რეკონსტრუქცია და ახალის მშენებლობა გამართლებული უნდა იყოს.

არქიტექტურული მონაპოვარის ნიმუშები თემატურად არის წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა კი, იმ მემკვიდრეობას ასახავს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღადგინეს ან მეოცე საუკუნის პირველ ხანებში აიგო. მათ შორის რამდენიმე გამორჩეულად საინტერესოა, განსაკუთრებით კი - მოდერნის სტილში შესრულებული და არქიტექტურული თვალსაზრისით მსოფლიოში სახელგანთქმული - Chapela Notre Dame-du-Haut.

გამოფენის დათვალიერებისას, ადვილად აღმოაჩენთ, რომ ექსპოზიციის ორგანიზატორების მიზანია მეოცე საუკუნის მემკვიდრეობის წარმოჩენა. ეს მონაპოვარი მოიცავს წინა საუკუნის ყველა სახის მატერიალურ თუ არამატერიალურ კვალს და ადასტურებს, რომ გასულ საუკუნეში მშენებლობებმა მასიური სახე მიიღო.

უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში აშენებულმა ნაგებობებმა პეიზაჟს უფრო მეტად შეუცვალა სახე, ვიდრე გასულმა საუკუნეებმა , - ხაზგასმით გვეუბნებიან ამ პროექტის ორგანიზატორები და მათი მოსაზრების დასამტკიცებლად გვთავაზობენ 85 კონსტრუქციას, ე.წ. ლაითბოქსს , რომლებზეც ასახულია საფრანგეთის არქიტექტურული მემკვიდრეობის, ძირითადად, ორი მიმართულება - კულტურული და სოციალური.

დიდი ფორმატის ფოტოებზე საფრანგეთის ის ადგილები და ღირშესანიშნაობებია აღბეჭდილი, რომლებიც იურიდიული სტატუსით სარგებლობენ. მათ, ერთგვარ, ანთოლოგიაში შესულია, ძირითადად, სხვადასხვა არქიტექტურული პროგრამის მიხედვით შედგენილი ესა თუ ის ურბანული პიეზაჟი, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრებისა და წარმოების ახლებურ საშუალებებთან და კიდევ, ჩვენი რეკრეატიული ცივილიზაციის მიერ შექმნილი ცხოვრების ახალ ჩვევებთან .

კერძოდ, რისი ნახვა და აღმოჩენა შეუძლია დამთვალიერებელს ექსპოზიციაზე? თბილისის ისტორიის მუზეუმის დიდი საგამოფენო დარბაზი მთლიანად შევსებულია აღნიშნული ლაითბოქსებით . მათ ლაბირინთებში კი, საშუალება გეძლევათ თემატურად გაეცნოთ:

1. საფრანგეთის ურბანულ რაიონებს - განახლებული ქალაქიდან დაწყებული საცხოვრებელ მიკრორაიონებამდე დამთავრებული;

2. მრავალსართულიანი სახლების მრავალსახეობას;

3. ბაღებს, რომელთა დათვალიერებისას დაინახავთ ამ საქმიანობით გატაცებული პროფესიონალების ფანტაზიასა და ყოვლისშემძლეობას;

4. კერძო სახლებისა და ვილების არქიტექტურას, სადაც აქცენტი, უმრავლეს შემთხვევაში, ძველი იერსახის შენარჩუნებასა და პრაქტიკულობაზეა გაკეთებული. მათი უმეტესობა ექსპერიმენტული ნამუშევარია;

5. წარმოებას, რომელიც ტექნიკური ინოვაციების სახით არის წარმოდგენილი და 1976 წელს არსებული ნავთობის კრიზისს მოსდევს;

6. ქარხნებს;

7. დედაქალაქის მოდერნის სტილში გადაწყვეტილ ნაგებობებს, მათ შორის: ადმინისტრაციული თუ სოციალური დანიშნულების შენობებს, უნივერსიტეტებს, პავილიონებს, სპორტულ კომპლექსებს, მუზეუმებს, თეატრებს, კინოთეატრებს...

ამ ჩამონათვალში, მართლაც, საინტერესო არქიტექტურულ ნიმუშებს აღმოაჩენთ, მაგალითად, ცეკვის ნაციონალურ ცენტრს;.

7. კომერციული საქმიანობისთვის და ტურიზმისთვის განვითარებისთვის აუცილებელ შენობებს - ეს სფერო აქ ახალი ტაძრებითა და მოდერნისტული ნაგებობებითაა წარმოდგენილი;

8. რელიგიური დანიშნულების ძეგლებს, რომელთაგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაკუთრებული ადგილი, სწორედ Chapela Notre Dame-du-Haut-ს უკავია.

9. მონუმენტებს, რომლებიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილ იუშვიათეს და უჩვეულო ნიმუშებს მოიცავს;

მთლიაობაში აღსანიშნავია, რომ 1914 წლიდან მოყოლებული გასული საუკუნის ბოლომდე, საფრანგეთში სულ თექვსმეტი მილიონი სახლი აიგო, რომელთაგან 3/4 უკანასკნელ ხანებშია აშენებული. ახალმშნებლობების ტალღა იქ 1914 წლიდან გაძლიერდა, რაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო განვითარდა. მოდერნისტულ ნაგებობეს რაც შეეხება, ასეთი საფრანგეთში პირველად 1957 წელს გამოჩნდა, სახელწოდებით - Le Theatre des Champs - Elysees Paris.

რიოს კარნავალი

რამდენიმე დღეა, რაც რიო დე ჟანეირო მსოფლიოს ყველაზე ცხელი, ფოიერვერკული, ფერადი და მოძრავი ქალაქია. მისი ცენტრალური პროსპექტები ქალაქის 12 საუკეთესო სამბას სკოლის მოცეკვავეებითა და მუსიკოსებითაა გადატვირთული, ყველანი კი ცენტრალური სამბადრომისკენ მიემართებიან, სადაც მათ მაყურებელი და ჟიური ელის. სწორედ ჟიურიმ უნდა გაარკვიოს, რომელი სკოლა იყო წელს საუკეთესო.

რიოს კარნავალი მსოფლიოს ალბათ ყველაზე მასშტაბური და სანახაობრივი სახალხო დღესასწაულია, რომელიც ქვეყნისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სამთავრობო დონეზე ტარდება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური შემოსავალი შეაქვს. თებერვლის ბოლო კვირას (კარნავალი სწორედ ამ დროს იმართება) ქალაქი სავსეა ტურისტებით. ისინი მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ ფულს ამ საოცარი მოგზაურობისთვის, რათა სამი-ოთხი დღის განმავლობაში ბოლომდე აიწყვიტონ და საკუთარ თავს არაფერზე უთხრან უარი. მართალია, წელს მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს განიცდის, რაც ცხადია არც თუ მდიდარ ბრაზილიაზეც აისახება, მაგრამ რიოელებს არც კი უფიქრიათ არა თუ კარნავალის გადადებაზე, არამედ მის ნაკლები მასშტაბით ჩატარებაზეც კი.

კარნავალი მთლიანად აფრიკულ და ძველ პორტუგალიურ ტრადიციებზეა დაფუძნებული. სამბას სკოლები კი ქვეყანაში მე-20-ე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, თუმცა მათი საქმიანობა მაშინ ნაკლებად პროფესიონალური იყო და სკოლებიც სამოყვარულო დონეზე მუშაობდა. 1916 წელს კი სპეციალურად კარნავალისთვის პირველი ოფიციალური მუსიკალური კომპოზიცია დაიწერა, რომელსაც ტელეფონზე საუბარი ერქვა. დროთა განმავლობაში ქალაქში კიდევ რამდენიმე სკოლა დაარსდა, ამჟამად კი რიოში 12 A კატეგორიის სკოლა არსებობს, რომლებიც ყოველდღიურად ეჯიბრებიან საუკეთესოს ტიტულის მოსაპოვებლად. კარნავალზე შედარებით მცირერიცხოვანი სკოლებიც გამოდიან.

როგორც კარნავალის შემფასებლები აცხადებენ, ეს ღონისძიება ერთ-ერთი ყველაზე კარგად ორგანიზებული მასშტაბური სანახაობაა. წარმოიდგინეთ, ერთი დღის განმავლობაში ქალაქის მთავარ პროსპექტზე დაახლოებით 40 ათასმა მსახიობმა, მუსიკოსმა და მოცეკვავემ უნდა გაიაროს და თანაც ისე, რომ ირგვლივ მყოფებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინოს. პროსპექტის გაყოლებაზე მათ წარმოდგენას ათასობით მაყურებელი ადევნებს თვალს, ხოლო მთავარ სამბადრომზე ასი ათასამდე ადამიანისთვის განკუთვნილი ტრიბუნებია აგებული. ჟიურიც ამ ტრიბუნიდან აკეთებს შეფასებებს.

როგორც კი კარნავალი დასრულდება, სამბას სკოლები მაშინვე ახალი წარმოდგენისთვის იწყებენ მზადებას. ისინი ერთ კონკრეტულ თემას ირჩევენ, თემა კი შეუზღუდავია: პოლიტიკა, სპორტი, ბუნება, ცხოველთა სამყარო და სხვა. თუმცა არსებობს ერთი აუცილებელი პირობა - თემა აუცილებლად ბრაზილიაზე უნდა იყოს. ყველა სკოლას ჰყავს საკუთარი გუნდი, რომელიც კომპოზიტორებისგან, კოსტუმების მხატვრებისგან, მკერავებისგან და სხვა დამხმარე თანამშრომლებისგან შედგება. ცალკეა ქორეოგრაფების, მოცეკვავეებისა და მუსიკოსების - ანუ შოუს მთავარი მონაწილეების გუნდი. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება უზარმაზარი ურიკების შემქმნელ ჯგუფსაც. ისინი თემატიკის შესაბამის გიგანტურ პლატფორმებს აგებენ, მათზე კი მხოლოდ სკოლის საუკეთესო მოცეკვავეები თავსდებიან, დანარჩენები კი ურიკას ფეხით მიუყვებიან. ურიკების სიმაღლე ხანდახან 10 მეტრს აჭარბებს და წარმოუდგენელი ფორმები აქვს.

ცალკე ხელოვნებაა მოცეკვავეებისთვის კოსტუმების შექმნა. ისინი რაც შეიძლება თვალში საცემი და განსაკუთრებული უნდა იყოს. ამავდროულად მნიშვნელობა ენიჭება თვითოეულ დეტალსა თუ ფერს. როგორც წესი, მთავარი მოცეკვავის კოსტუმი რამდენიმე კილოგრამს იწონის, ამიტომ მისი ტარება და ამავდროულად ცეცხლოვანი ცეკვაც დიდ ოსტატობასა და ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს.

კარნავალს თავისი წესები აქვს: ჯერ მთავარი სამბადრომისკენ 12 დიდ სკოლის გუნდი მიემართება და საკუთარ თავს საუკეთესო მხრიდან წარადგენენ. შემდეგ კი პატარა და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სკოლების ჯერი დგება. მათ მონდომებასა და შოუზეა დამოკიდებული, შეძლებენ თუ არა საუკეთესოთა შორის ადგილის დამკვიდრებას. თვითოეული სკოლისთვის ერთი საათია გამოყოფილი, მთავარი წარმოდგენა კი დილის 5-6 საათზე მთავრდება. ასე გრძელდება სამი დღის განმავლობაში, ვიდრე ჟიური საუკეთესო სკოლას არ გამოავლენს.

განცხადება აუქციონის ჩატარების თაობაზე

სსიპ "საფინანსო სააგენტო" 2009 წლის 11 მარტს 12^{00} საათზე ატარებს საჯარო აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონებას წარმოადგენს თევზსაჭერი სეინერი, ბადეები, მშრალტვირთმზიდი თბომავალი.

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტის ნომერი და ქონების დასახელება	ქონების აღწერა		საწყისი ფასი (ლარი)	ბიჯი
ლოტი 1				
თევზსაჭერი სეინერი "საორი–2" და მასზე განთავსებული თევზსაჭერი ბადეები	სეინერი დამზადებულია რუსეთში 1991 წელს, სარეგისტრაციო ნომერი #910439, IMO 8860638, სიგრძე 22.9 მეტრი, სიგანე 6.9 მეტრი, ბორტის სიმაღლე 3.05 მეტრი.		115 750,00	2 500,00
ლოტი 2				
მშრალტვირთმზიდი თბომავალი გემი "ტარიკ–გიუნერი"	გემი დამზადებულია 1909 წელს თურქეთში, სარეგისტრაციო #198413, იმო #345986. სიგრძე 50.3 მ; სიგანე 8მ; სიმაღლე 3.85მ; ნეტო წონა 295 ტონა.		170 000,00	3 500,00

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ "საფინანსო სააგენტოს" 2009 წლის 10 მარტის 17^{00} საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი პ. იაშვილის #4 მე–4 სართული.

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ;

ბ) ლოტზე (ან ლოტებზე) მითითებას;

გ) საგარანტიო თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

დ) პირადობის დამადასტურებელ საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით.

იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (ყველა დოკუმენტი უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე).

საგარანტიო თანხა, რომლის სიდიდეც შეადგენს **10 000** ლარს მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად, შეტანილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“
ბანკი: სს "ბაზისბანკი"
კოდი: 220101956
ანგარიშის #7434110
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, # ლოტზე.
ან
მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“
ბანკი: სს "თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი
კოდი: 220101850
ანგარიშის #79936080100001
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, # ლოტზე.

აუქციონი გაიმართება ქ. თბილისში, პ. იაშვილის ქ. #**4**, მეოთხე სართულზე.

სარეალიზაციო ქონება განთავსებულია შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, „ახალი პორტი“-ს ტერიტორია, წინასარეალიზაციო ჩვენება-დათვალიერება გაიმართება **10** მარტის ჩათვლით ქონების განთავსების ადგილზე საფინანსო სააგენტოსთან შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე გასატანი ქონების შესახებ და აუქციონის პირობების თაობაზე მსურველებს შეუძლიათ მიიღონ „საფინანსო სააგენტოში“.

საკონტაქტო პირები: გიორგი ჩხაიძე, ბეჟან შარაშიძე.

ტელ: 98-93-75, 98-93-76

განცხადება აუქციონის ჩატარების თაობაზე

სსიპ „საფინანსო სააგენტო“ 2009 წლის 11 მარტს 16^{00} საათზე ატარებს საჯარო აუქციონს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებაზე. ქონების წარმოადგენს სამშენებლო მასალები.

აუქციონი ჩატარდება შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი №	ლოტის აღწერა	ზომის ერთეული	რაოდენობა	საწყისი ფასი	ბიჯი
1	პლასტმასის მილები, იზოლატორები	ცალი	15831	22160,22	450,00
2	ონკანები	ცალი	726	1749,38	50,00
3	საწვიმარი ღარები, ღარის დამჭერები	ცალი	2880	3284,96	100,00
4	მილების გადასაბმელები	ცალი	18325	4214,83	100,00
5	კანალიზაციის მილები, შემაერთებლები, გამყოფები	ცალი	3989	3115,18	100,00
6	წემო ცემენტი – ბეტეკი	ცალი	83	406,70	10,00

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ „საფინანსო სააგენტოს“ 2009 წლის 10 მარტის 17^{00} საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი პ. იაშვილის №4 (მეოთხე სართული).

განცხადება უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას მონაწილის შესახებ;

ბ) ლოტზე (ან ლოტებზე) მითითებას;

გ) საგარანტიო თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

დ) პირადობის დამადასტურებელ საბუთს, სათანადო წესით დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან სხვა ფიზიკური პირის სახელით;

იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

საგარანტიო თანხა, რომლის სიდიდეც შეადგენს აუქციონზე გამოტანილი საქონლის საწყისი ღირებულების 10%-ს, მის მიერ განცხადებაში მითითებული ლოტების შესაბამისად, შეტანილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“
ბანკი: სს „ბაზისბანკი“
კოდი: 220101956
ანგარიშის №7434110
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, № – ლოტზე.
ან
მიმღები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საფინანსო სააგენტო“

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ მარჯანიშვილის ფილიალი
კოდი: 220101850
ანგარიშის №79936080100001
დანიშნულება: საგარანტიო თანხა, № – ლოტზე.

განცხადება შეიძლება შეტანილი იყოს ერთ ან რამდენიმე ლოტზე.

აუქციონი გაიმართება ქ. თბილისში, პ. იაშვილის ქ. №2, მეორე სართული.

სარეალიზაციო ქონება განთავსებულია ქ. ბათუმში, სბაჟო ტერმინალი შპს „აკაზა“. წინასარეალიზაციო ჩვენება-დათვალიერება გაიმართება 2009 წლის 10 მარტის ჩათვლით ქონების განთავსების ადგილზე საფინანსო სააგენტოსთან შეთანხმებით.

დამატებითი ინფორმაცია აუქციონზე სარეალიზაციო ქონების შესახებ და აუქციონის პირობების თაობაზე მსურველებს შეუძლიათ მიიღონ „საფინანსო სააგენტოში“.

საკონტაქტო პირები: გიორგი ჩხაიძე, კობა ლაცაბაძე.

ტელ: 98-93-75, 98-93-76

სპორტი

ფაჩულია ჯაზმენებმა გაანაწყენეს

ატლანტა ჰოუქსი აგრძელებს დასავლურ ვოიაჟს. ამჯერად ფაჩულია და მისი თანაგუნდელები სოლტ ლეიკ სიტის ეწვივნენ და ადგილობრივ ჯაზმენებს დაუპირისპირდნენ. "ენერჯისოლუშენს არენაზე" ჯორჯიელმა ქორებმა ანდრეი კირილენკოს "იუტა ჯაზის" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და მატჩი ანგარიშით 89:108 დათმეს. რაც შეეხება უშუალოდ ფაჩულია-კირილენკოს დუელს, შედეგები ასეთია - საქართველოს ნაკრების ცენტრმა 17 წუთი გაატარა მოედანზე და ამ ხნის განმავლობაში 9 ქულა და 6 მოხსნა დააგროვა. რაც შეეხება რუსეთის ნაკრების ფორვარდს, მან 19.30 წუთი ითამაშა და 9 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა. ყველაზე შედეგიანი ატლანტელი "ქორების" რაზმში ჯო ჯონსონი იყო (15 ქულა), ხოლო იუტელი "ჯაზმენების" შემადგენლობაში საუკეთესო გახლდათ რონი ბრეევერი (19 ქულა).

ამ მარცხის მიუხედავად, ატლანტა აღმოსავლეთ კონფერენციაში მყარად ინარჩუნებს მეოთხე ადგილს და, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ალბათ რეგულარულ სეზონსაც ასე დაასრულებს.

ფაჩულიას გუნდი დასავლურ ვოიაჟს ამთავრებს

მომდევნო შეხვედრას ქორები დენვერში ნაგეტსის წინააღმდეგ გამართავენ. სწორედ ამ გასვლითი მატჩით დასრულდება ფაჩულიასა და მისი თანაგუნდელების დასავლური ვოიაჟი. ნაგეტსთან დაპირისპირების შემდეგ ქორებს ერთდიღანი შესვენება ექნებათ და საკუთარ მოედანზე მაიამის უმასპინძლებენ.

სასიამოვნო ცნობა მოვიდა საბერძნეთიდანაც, სადაც ქვეყნის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში გიორგი შერმადინის პანათინაიკოსმა თავისი მუდმივი მეტოქე ოლიმპიაკოსი დაამარცხა - 80:70.

შერმადინს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. მატჩის ბედი კი დასკვნით მეოთხედში გადაწყდა - ათენელებმა 27:17 მოიგეს.

პანათინაიკოსის რიგებში გამორჩეულად ითამაშეს დიამანტიდისმა (16 ქულა), ფოცისმა (13), ბატისტამ (12) და იასეკივიჩიუსმა (10), პირეოსელთა შემადგენლობაში კი პაპალუკასი (13), გრირი (11) და ბურუსისი (10) გამოირჩნენ.

ესპანეთმა შემადგენლობა დაასახელა

ესპანეთის მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა დაასახელა ის შემადგენლობა, რომელიც 28 თებერვლის "ერთა თასის" მატჩისთვის საქართველოსთან საბრძოლველად მოემზადება. შეხვედრა მადრიდის "სიუდად უნივარსიტარიაზე" გაიმართება და თბილისის დროით 20.00 საათზე დაიწყება. ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა: ხოსე ბოჰორქეზი ("კახასოლი" სევილია), ლეანდრო ფერნანდეზ-არამბურუ ("კახასოლი" სევილია), სებასტიან ჰატორი ("კახასოლი" სევილია), ხაიმე ნავა დე ოლანო ("ელ სალვადორი" ვალიადოლიდი), სერხიო სოუტა ვიდალი ("ელ სალვადორი" ვალიადოლიდი), დიეგო პენია ("ელ სალვადორი" ვალიადოლიდი), სერხიო ესტებანი ("სანტბოიანა" ბარსელონა), სეზარ რივერა ("მადრიდი" მადრიდი), ხუან როდრიგეზ-არიასი ("მადრიდი" მადრიდი), ხავიერ შაკი ("მადრიდი" მადრიდი), პაბლო უგანდე ("მადრიდი" მადრიდი), ხუან გოიკოეჩეა ("მადრიდი" მადრიდი), იონ ხიმენეზი ("მადრიდი" მადრიდი), დავიდ სიერა ("მადრიდი" მადრიდი), ხავიერ ლიზარაგა ("მადრიდი" მადრიდი), სეზარ პადილია ("მადრიდი" მადრიდი), მატიას პერეტი ("მადრიდი" მადრიდი), მეთიუ ქუკი ("ლა ვილა" ალიკანტე), რაფაელ პრიეტო ("ბერა ბერა" სან სებასტიანი), დავიდ აბადი ("გეტხო" ბისქეი), მარტინ პალუმბო ("გეტხო" ბისქეი), მარკო პინტო ("კლერმონ ოვერნი" საფრანგეთი), რომეინ როხასი ("ტოაქ ტულუზი" საფრანგეთი), მეთიუ ბოშე ("მონ დე მარსანი" საფრანგეთი).

დარასელიას "მაკაბი" დამარცხდა

ისრაელის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ჰაიფას მაკაბი , რომელსაც ელიშა ლევისთან ერთად გიორგი დარასელია წვრთნის, ბოლო ტურში განცდილი მარცხის მიუხედავად, განაგრძობს ჩემპიონატის ლიდერობას. ჰაიფელებმა გერმანელ ლოთარ მათეუსის ნათანიის მაკაბისთან გასვლითი მატჩიც წაგეს, ოღონდ, პირველი წრის შეხვედრისგან (2:3) განსხვავებით, მეტოქემ ორი უპასუხო გოლი გაუტანა.

ჩრდილოელთა ამ წაფორხილებით სათანადოდ ვერ ისარგებლა მანამდე მეორე ადგილზე მყოფმა ტელ-ავივის ჰაპოელმა , რომელიც ფეთახ-თიკვაში მასპინძელ მაკაბელებს ფრედ - 1:1 ეთამაშა.

20 ტურის შემდეგ ჰაიფას მაკაბის 39 ქულა აქვს, ნათანიელებს - 36, ხოლო ტელ-ავივის ჰაპოელს - 35. მორიგი ტურის შეხვედრებს ისრაელში დამდეგ უქმეებზე გამართავენ. დარასელიას გუნდს კვლავ გასვლითი მატჩი ელის. ამჯერად მისი მეტოქე იქნება ბოლოსწინა, მე-11 ადგილზე მყოფი კირიათ-შმონას ჰაპოელი , რომელთანაც ჰაიფელებმა პირველი წრის საშინაო შეხვედრა 1:1 ითამაშეს. მანამდე ეს გუნდები მხოლოდ წინა სეზონში შეხვდნენ. მაკაბიმ ორი მატჩი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა (ურთიერთშეხვედრებისას დაფიქსირებული ბურთების სხვაობაა 5:3-ზე). რაც შეეხება პირველ ლიგაში მოასპარეზე ირაკლი გეფერიძის ჰაიფის ჰაპოელს , მან საშინაო მატჩი ჰერცლიას მაკაბისთან 1:1 დაასრულა. 20 ტურში დაგროვილი 41 ქულით უმცროსი ჰაიფელები პირველ ლიგას (საიდანაც წლეულს უმაღლესში ერთბაშად 5 დაწინაურებული გადადის) ერთპიროვნულად ლიდერობენ. ბოლო მატჩში ჰაიფელთა მწვრთნელმა შლომი დორამ ქართველი ფორვარდი პირველი ტაიმის დასრულებისთანავე შეცვალა. 45 წუთში გეფერიძეს თავი არაფრით გამოუჩენია.

კალაძე პოლიტიკაში?

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე და გაეროში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი ირაკლი ალასანია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკურ მოძრაობასთან თანამშრომლობას აპირებენ.

ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო პირველი იუწყება. მისი ცნობით, კალაძე და ალასანია ნოღაიდელთან აქტიურ მოლაპარაკებას მართავენ.

ვერ გეტყვით, ზუსტად რა თანამშრომლობის ფორმაზეა საუბარი, თუმცა, ვიცი, რომ კალაძე აპირებს შეუერთდეს მოძრაობას სამართლიანი საქართველოსთვის , - აღნიშნა წყარომ, რომელსაც პირველი ეყრდნობა. სააგენტოს ინფორმაციით, ნოღაიდელმა მოძრაობის წევრებს აღუთქვა, რომ ისინი ხელფასს კალაძის მიერ დაფუძნებულ ბანკში მიიღებენ, რაც ფეხბურთელისა და ყოფილი პრემიერის დაახლოების კიდევ ერთი დასტურია.

პირველი ნაბიჯი გადაიდგა

მალტაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა წარმატებით ითამაშა და მეორე რაუნდში ასპარეზობის უფლება მოიპოვა.

C ჯგუფის პირველ მატჩში ქართველებმა მასპინძელ მალტას დარჩიას, ბობოხიძისა და სოზაშვილის გოლებით 3:1 მოუგეს, შემდეგ საბერძნეთთან 0:5 დამარცხდნენ, გადამწყვეტ შეხვედრაში კი ალბანეთს შელეგიას, ბობოხიძისა და თოთაძის გოლებით 3:0 სძლიეს.

საქართველოს ნაკრები ჯგუფში მხოლოდ საბერძნეთს ჩამორჩა და 6 ქულით, ჩერნოგორიასთან ერთად, იმ გუნდებს შორის მოხვდა, რომელთაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე საუკეთესო მეორე პრიზიორთა რანგში გააღწიეს.

პირველ ეტაპზე სულ 16 ნაკრები ჩაერთო. მათგან ბრძოლას აგრძელებს 4 ჯგუფის გამარჯვებული და ორიც საუკეთესო მეორე პრიზიორი.

გამოვლენილი 6 გუნდი მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პირდაპირ დაშვებულ 22 ნაკრებს შეუერთდა და შვიდ ოთხგუნდიან ჯგუფში განაგრძობს ასპარეზობას.

საქართველოს ფუტსალის ნაკრები მეოთხე ჯგუფში მოხვდა და ლიტვის ქალაქ კაუნასში მოუწევს ასპარეზობა.

19-22 მარტს ქართველთა მეტოქეები იქნებიან მასპინძელი ლიტვა, იტალია და ბელორუსი.

პირველი ეტაპი ვერ დაძლიეს ინგლისის, ირლანდიის, ბულგარეთის, ისრაელისა და თურქეთის გუნდებმა.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. კაუნასი (ლიტვა). 19-22 მარტი.

იტალია, ბელორუსი, ლიტვა, საქართველო.

მილანი არ იყიდება

გუშინ იტალიურმა გაზეთმა Corriere della Sera-მ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: არაბი შეიხი მანსურ ბენ ზაედ ალ ნახანი აპირებს მილანის აქციების 40 პროცენტის შეძენას 500 მილიონ ევროდ. გაზეთი ირწმუნებოდა, რომ ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილია. მილანს კი ასეთი წინადადებით მას შემდეგ მიმართეს, რაც კლუბმა უარი განაცხადა გაეყიდა ბრაზილიელი კაკა მანჩესტერ სიტიში .

სიტის მთავარი აქციონერი და მფლობელი სწორედ შეიხი მანსურ ბენ ზაედ ალ ნახანია. მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ არაბმა მილიარდერმა კაკას ყიდვა ვერ შეძლო და ახლა იმ კლუბის ყიდვას აპირებს, რომელშიც ბრაზილიელი თამაშობს.

არაბ შეიხს "სიტის" შემდეგ "მილანის" ყიდვა მოუნდა

Corriere della Sera-ს ინფორმაციის თანახმად, იტალიის პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის ოჯახური იმპერია Fininvest მზადაა განიხილოს არაბების შემოთავაზება. მეტიც, ბერლუსკონი თითქმის თანახმაა კლუბის გაყიდვაზე. იტალიელი ჟურნალისტები საკუთარი ინფორმაციის გამყარებისთვის იმასაც იშველიებენ, რომ Fininvest-ის ხელმძღვანელი, სილვიო ბერლუსკონის ქალიშვილი მარინა არაერთხელ გამოსულა საჯარო განცხადებით იმის თაობაზე, რომ ასეთი ძვირად ღირებული კლუბის შენახვა ბიზნესისთვის წამგებიანია.

მოკლედ, Corriere della Sera-მ ფაქტობრივად გაყიდა მილანი არაბ შეიხზე, თუმცა ეს იყო გუშინ დილით, როდესაც გაზეთი გასაყიდად გამოვიდა. სულ მალე, ნაშუადღევს, მილანის ოფიციალური განცხადება გავრცელდა.

გაზეთში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეეფერება. არავითარ გაყიდვაზე საუბარი არ ყოფილა და ვერც იქნება , - ნათქვამია როსონერის პრესსამსახურის ოფიციალურ განცხადებაში.

ტატანაშვილი არ ათამაშეს

ჩეხეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-17 ტურში დიმიტრი ტატანაშვილის ვიკტორია პლზენი ლიდერ პრაღის სლავიას ესტუმრა და 2:3 დამარცხდა. ქართველი თავდამსხმელი მინდორზე არ გამოჩენილა, მისმა გუნდმა კი ანგარიშის შელამაზება ბოლო წუთებზე შეძლო. სლავია იაროლიმის ჰეთთრიკით დაწინაურდა, მლიკამ და ლიმბერსკიმ კი დასკვნით ხუთ წუთში გაიტანეს გოლები. ვიკტორია 22 ქულით მე-10 ადგილზე რჩება.

თოთაძე და ფარცვანია კვიპროსულ შეკრებაზე გაემგზავრნენ

კიევის დინამო-2 კვიპროსში საწვრთნელ შეკრებაზე 22 ფეხბურთელის შემადგენლობით გაემგზავრა. მათ შორის მოხვდნენ ქართველები - ლაშა თოთაძე და თემურ ფარცვანია. კიეველთა რიგებში აღარ არის დავით იმედაშვილი, რომელიც იჯარის წესით უნგრულ ნიირეგიჰაზაში გადავიდა და უიპეშტთან საშინაო მატჩში ახალი გუნდის მაისური მოირგო. კვიპროსში დინამო-2 სამ საკონტროლო მატჩს გამართავს. 26 თებერვალს კიეველები ერევნის ბანანცს ეთამაშებიან, 3 მარტს - ვლადივოსტოკის ლუჩ-ენერგიას , ხოლო 6-ში - ნოვოტროიცკის ნოსტას . ქართველთა კლუბი კიევში 7 მარტს დაბრუნდება.

ერთი მოგება ძირითად ბადემდე

ქართველმა ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა აშშ-ის ქალაქ კლერვოტერში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე მეორე გამარჯვება იზეიმა და კვალიფიკაციის დასკვნით რაუნდში თამაშის უფლება მოიპოვა. მე-6 ნომრად განთესილმა ჩახნაშვილმა პირველ წრეში სლოვენიელ პეტრა რამპრეს 6:3, 7:6 (7:5) სძლია, შემდეგ კი ამერიკელი კოკო ვანდეევეიგე 6:1, 7:6 (7:2) დაამარცხა. ძირითად ბადეში გადასასვლელ მატჩში მაკას მეტოქე სერბი ანა იოვანოვიჩი იქნება. წყვილთა ტურნირის საწყის რაუნდში ჩახნაშვილი და ბრაზილიელი ალვეში გერმანელი ჰენკესა და ხორვატი იურაკის დუეტს ეთამაშებიან. კლერვოტერის საჩოგბურთო ტურნირის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია.

მარტში მატჩები 15:00 საათზე დაიწყება

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის, უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩები მარტიდან 15:00 საათიდან დაიწყება. ის თამაშები კი, რომლებიც პირველი არხით პირდაპირ ეთერში იქნება ნაჩვენები, 14:00 საათზე აიღებს სტარტს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ვებგვერდის ცნობით, 25 თებერვალს ორი გადადებული მატჩი გაიმართება. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბორჯომი - სპარტაკი და დინამო - ზესტაფონი . ზესტაფონისა და სპარტაკის მატჩი, 28 თებერვლის ნაცვლად, პირველ მარტს გაიმართება.

ჰიდინკი: "ჩელსიმ" საკუთარი თამაში უნდა მოახვიოს თავს "იუვენტუსს"

"ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა გუუს ჰიდინკმა "იუვენტუსთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის წინ შეაფასა მომდევნო ეტაპზე საკუთარი გუნდის გასვლის შანსები. "იუვენტუსი" ძლიერი მოწინააღმდეგეა. თუ ამ ბარიერს დავძლევთ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გაბედულად უნდა ვუყუროთ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ თამაშს. იმისთვის, რომ გადამწყვეტ მატჩამდე მივაღწიოთ, საკმარისი არ არის მხოლოდ ერთი ბარიერის გავლა. ნებისმიერი მომდევნო თამაში ამოუცნობია თავისი არსით. გაიხსენეთ თუნდაც "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ბაიერნის" ფინალური დაპირისპირება 1999 წელს, როცა ყველაფერი ბოლო წუთებზე გადაწყდა. "ჩელსის" შეუძლია და ვალდებულიცაა, რომ "იუვენტუსს" საკუთარი თამაში მოახვიოს თავს. მომწონს შემტევი სტილი. ამიტომ იმ მოკლე პერიოდში, როცა "ჩელსიში" ვიმუშავებ მთავარი მწვრთნელის პოსტზე, შევეცდები ავუხსნა ფეხბურთელებს, რომ სწორედ შეტევაა ჩვენი მთავარი კოზირი. სწორედ ამ კოზირის გამოყენებით უნდა ვიმოქმედოთ მომავალშიც", - ამბობს ჰიდინკი.

ჯერარდი მადრიდში ჩაფრინდა

"ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა სამი კვირა გამოტოვა ტრავმის გამო. ორშაბათს მან გუნდთან ერთად ივარჯიშა, რის შემდეგაც რაფა ბენიტესმა მიიღო გადაწყვეტილება ჯერარდი მადრიდში გუნდთან ერთად წაეყვანა, სადაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში "რეალს" დაუპირისპირდება. ითამაშებს თუ არა სტივენ ჯერარდი ამ შეხვედრაში, ამას ბენიტესი უშუალოდ მატჩის წინ გადაწყვეტს. ბენიტესს კიდევ ორი ფეხბურთელი ჰყავს ლაზარეთში. გადაწყვეტილია, რომ "რეალთან" არ ითამაშებენ დანიელ აგერი და ფილიპ დეგენი.

50 უაზრობა, რომელმაც ფეხბურთი გააფუჭა



რუნიმ უკვე ორი წიგნი დაწერა, ზუსტად ერთით მეტი, ვიდრე წაკითხული აქვს

კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ფეხბურთი მხოლოდ თამაში იყო. დღეს ფეხბურთი იდეალურობისგან შორს დგას. ფული, ტექნიკური ზონები, ბოსმანის საქმე, აგენტები, სვირინგები და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ, რამაც ფეხბურთზე ცუდი გავლენა მოახდინა. რა თქმა უნდა, თავად ეს მოსაზრება საკამათოა, მაგრამ ფაქტია, რომ ფეხბურთში რომანტიკა აღარ არსებობს. ბრიტანულ გამოცემა The Times-ის მიმომხილველმა კავეგ სოლეკოლმა მკითხველს გააცნო ის 50 უაზრო ცვლილება, რომელმაც, მისი აზრით, ფეხბურთი გააფუჭა. მცირედი შემოკლებით გთავაზობთ The Times-ის ჟურნალისტის პუბლიკაციას.

ტექნიკური ზონა - განა ბობ პეისლი ტექნიკურ ზონაში იყო, როდესაც სამი ევროპული თასი მოიგო და ექვსჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი? განა ალფ რამსიმ ტექნიკური ზონიდან გახადა ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი? საერთოდ, რა არის ეს ტექნიკური ზონა, თეთრი ხაზებით შემოფარგლული გაზონის მონაკვეთი, რომელიც მწვრთნელს უნდა ახსენებდეს, დაჯექი შენს ადგილზე და ხმა ჩაიკმიდე.

სატრანსფერო ფანჯარა - წარმოიდგინეთ, რომ მაღაზიაში საყიდლებზე წასვლა წელიწადში მხოლოდ ორჯერ შეგიძლიათ - იანვარში და ზაფხულში. თქვენი მაცივარი ცარიელი იქნებოდა. ეს არ მუშაობს რეალურ ცხოვრებაში და ვერც ფეხბურთში იმუშავებს.

სეზონური ნომრები - გახსოვთ ის დრო, როდესაც გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ათნომრიანი მაისურით თამაშობდა და მეკარე - პირველი ნომრით? ვიღაცის წყალობით, რომელიც, ეტყობა, ამერიკული ფეხბურთის ტრფიალია, დღეს ჯორჯ ბოიერი როჩდეილში 30 ნომერია, რონალდინიო მილანში - 80, უილიამ გალასი კი არსენალის ათიანი. რატომ?

ავტობიოგრაფია - ნებისმიერი ფეხბურთელის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ის გადაწყვეტს (ან ურჩევენ), რომ საკუთარი ბიოგრაფია მსოფლიოს გააცნოს. ლიტრედაქტორის მიერ დამუშავებული რამდენიმე ინტერვიუ და აი, 200-გვერდიანი წიგნიც მზადაა. უიეინ რუნიმ უკვე დაწერა ორი ასეთი წიგნი. ეს ზუსტად ერთით უფრო მეტია, ვიდრე თავად მას აქვს წაკითხული.

სტატისტიკა - ეს უკვე ფეხბურთის ამერიკანიზაციაა. გაინტერესებთ, რამდენი საგოლე გადაცემა გააკეთა სეზონში რუნიმ? რამდენი ზუსტი გადაცემა გააკეთა მეტოქის საჯარიმოში ჯერარდმა? ან რამდენი წარმატებული პოდკატი გააკეთა ნევილმა შობის შემდეგ? ვფიქრობ, არა. ფეხბურთში არსებობს ერთადერთი სტატისტიკა და ამას მატჩის საბოლოო შედეგი ჰქვია.

კონტრაქტის გაწყვეტა ორმხრივი შეთანხმებით - ერთ-ერთი ყველაზე სულელური ფრაზა თანამედროვე ფეხბურთში. მწვრთნელი ან თავად მიდის თანამდებობიდან, ან აგდებენ. ჰოდა, გვითხარით სიმართლე.

მსუქნები - მიდით ნებისმიერ სტადიონზე ინგლისში და თქვენს მახლობლად აუცილებლად აღმოჩნდება ჩაპუტკუნებული მამაკაცი, რომელიც ა) დააგვიანებს მატჩზე, ბ) მთელი თამაშის განმავლობაში სისულელეებს ილაპარაკებს, გ) შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე გავა ტრიბუნიდან, დ) მატჩის განახლებიდან ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდება ტრიბუნაზე, ე) ფინალურ სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე დატოვებს სტადიონს.

დაფარული სატრანსფერო თანხები - თუ თქვენ კლუბის მფლობელი ხართ და გადაწყვიტეთ, ჩემს მიერ სეზონურ აბონემენტში გადახდილი თანხა ისეთი ფეხბურთელის შეძენაზე დახარჯოთ, რომლის შესახებაც თითქმის არაფერი იცით, ნება იბოძეთ და მითხარით მაინც, რამდენს იხდით ამ ფეხბურთელში.

ელექტრონული სარეკლამო ფირნიშები - როდესაც სტადიონზე დააპირებთ წასვლას, მზის სათვალე წაიღეთ, თორემ სარეკლამო ფირნიშები თვალებს აგიჭრელებთ. სულ მინდა ვუთხრა ამის მომგონს: შენი ჭირიმე, თავი დაგვანებე. ჩვენ ვერ ვიყიდით ახალთახალ აუდის . ჩვენ აქ ფეხბურთის საყურებლად და ლუდის დასალევად ვართ მოსული .

საკლუბო მაღაზიები - არსენალის საკლუბო მაღაზიაში არის სპეციალური განყოფილება, სადაც შეგიძლიათ თქვენს ძაღლს უყიდოთ საჩუქარი, ჩელსის მაღაზიაში ორცხობილები იყიდება - 6 შეკვრა 11 გირვანქა სტერლინგად. აი, მანჩესტერმა კი ჰიგიენურ საშუალებებზეც დაიწყო ბიზნესის კეთება. არასდროს არ გინატრიათ თავის დაბანა მანჩესტერის შამპუნით? ახლა ამის საშუალება გაქვთ. უბრალოდ, 10 გირვანქა უნდა გადაიხადოთ.

კაკა - თუ მას მართლა არ აინტერესებს ფული, მაშინ რატომ უხდის მილანი სეზონში 9 მილიონ ევროს?

ბრაზილიის ნაკრები - მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი გუნდი ნელ-ნელა ჰარლემ გოლობტროტერსის საფეხბურთო ვერსიად იქცა. უკანასკნელი ორწელიწადნახევრის განმავლობაში რონალდინიომ და კომპანიამ საკუთარ მინდორზე ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს. სამაგიეროდ ამავე პერიოდში მოასწრეს შოუების მოწყობა ოსლოში, კუვეიტში, სტოკჰოლმში, ლონდონში (ხუთჯერ), ბაზელში, გიოტებორგში, დორტმუნდში, მონპელიეში, ჩიკაგოში, ბოსტონში, დუბლინში, სიეტლსა და კიდევ ერთხელ ბოსტონში.

ინტერნეტ-ფორუმი - ჩემი გუნდი შენსას ჯობს. არა, ჩემი უკეთესია. არა, ჩემი ჯობს. რას ამბობ, ჩემია ყველაზე კარგი და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

სვირინგები - ჩვენს ბავშვობაში სვირინგებს მხოლოდ მეზღვაურები და პატიმრები ატარებდნენ. ახლა კი ნებისმიერი გუნდის გასახდელში შესვლისას თვალები აგიჭრელდება. კელტური ჯვრები, ანგელოზები, ჩინური იეროგლიფები. ფეხბურთელები სხეულზე ყველა შვილის სახელს ივრითზე იწერენ, ცოლის სახელს - იაპონურად, ვალიური დრაკონების წყვილი და კიდევ უამრავი უწმინდურობა.

ჩემპიონთა ლიგა - რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1992 წელს ჩემპიონთა თასი ჩემპიონთა ლიგად გადააკეთეს? ყველაფერი! თუ თქვენ ჩემპიონთა თასს იგებდით, ევროპის საკლუბო ჩემპიონი იყავით, თუ იგებთ ჩემპიონთა ლიგას, ესე იგი, ვიღაცის ვალი გაქვთ - 700 მილიონი ევრო.

პრემიერლიგა - რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1992 წელს პრემიერლიგა საფეხბურთო ლიგას გამოეყო? ყველაფერი! თუ თქვენ პირველ ლიგას იგებდით, ინგლისის ჩემპიონი იყავით. თუ იგებთ პრემიერლიგას, ესე იგი, ვიღაცის ვალი გაქვთ - 500 მილიონი ევრო.

მაიკლ ფელპსი - კაცი ბესტსელერი

გიგა გურასაშვილის ფოტო

გიგა გურასაშვილი

სასტარტო ბაქანთან მისული ყურსაცვამებს იხსნის და მოთელვას იწყებს, მერე აუზში გადაეშვება და ფინიშთან პირველი მიცურავს. ოქროს ოქროზე იგებს, თანაც მსოფლიოს რეკორდებით. მანამდე კი... მანამდე მუსიკით, უფრო სწორად, ლილ ვეინის რეპით იმუხტება: I m me, so who you? You re not me, you re not me and i know that ain t fair, but i don t care .

ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ოლიმპიელზე, რომლისთვისაც პეკინის ოლიმპიური თამაშები რიგით მესამე იყო, ლილ ვეინის ეს სიტყვები დოპინგივით რომ მოქმედებს უდაოა. რამდენჯერაც გადაეშვა აუზში იმდენჯერ ჩემპიონი გახდა.

მაიკლ ფრედ ფელპსი 1985 წლის 30 ივნისს ბალტიმორში დაიბადა. მოგვიანებით მომავალი ჩემპიონი საკუთარი მიღწევებისთვის ბალტიმორულ ტყვიად შერაცხეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ფიზიკურად სუსტი მაიკლი დედამ ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ცურვაზე ყოველგვარი სპორტული მიზნების გარეშე მიიყვანა. მოხდა ისე, რომ მაიკლმა არამარტო გაიკაჟა ორგანიზმი, არამედ აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებშიც ჩაირიცხა.

მაიკლ ფელპსის ოლიმპიური დებიუტი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა. ეს პირველი შემთხვევა იყო ბოლო 68 წლის განმავლობაში, როდესაც 15 წლის ასაკში მოცურავეს ოლიმპიურ ნაკრებში უხმეს. მართალია, სიდნეიში მედალი არ მოუპოვებია, მაგრამ კოჭებშივე ეტყობოდა, რომ მედლების წვიმა არ დაახანებდა. თავდაპირველად 200 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიო რეკორდს გაუსინჯა გემო, თანაც სიდნეის თამაშებიდან ხუთი თვის შემდეგ. დროთა განმავლობაში მსგავსი შედეგები მისთვის ჩვეული რამ გახდა, ისევე როგორც სხვადახვა დისციპლინებში მსოფლიო თუ ოლიმპიური ჩემპიონობა.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე უკვე 19 წლის ფელპსი რვა მედალს ისაკუთრებს, საიდანაც ექვსი უმაღლესი სინჯისაა, ორი კი ბრინჯაოს მედალია. გარდა ამისა, დაამყარა სამი ოლიმპიური და ერთიც მსოფლიო რეკორდი.

ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მოსვენება დაკარგა - პეკინის თამაშებზე რვა ოქროს მედალი უნდა მოვიპოვოო. ვინაიდან მსგავსი რამ აქამდე არავის გაეკეთებინა მსგავს განცხადებას მაშინ ერთნი ეჭვის თვალით უყურებდნენ. ამერიკელმა კი მიზანს მაინც მიაღწია.

პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე საარაკო შედეგს სათავე 400 მეტრზე კომპლექსური გაცურვით დაუდო თავი. მაშინდელი გაცურვა იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ფელპსის საგულშემატკივროდ წყლის კუბში (შესაბამისი ფორმების გამო ასე გადანათლეს საცურაო კომპლექსი) მივიდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ჯოჯრ ბუში-უმცროსი, პირველი ლედი ლაურა ბუში, მათი ქალიშვილი და ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში!

მაიკლმა იმ დღეს არც ქვეყნის პირველ პირს გაუწბილა იმედები და შემდგომში უკვე გულშემატკივრებსაც. ამერიკელი იმ დღის შემდეგ კიდევ შვიდჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე და გახდა პირველი მოცურავე, რომელმაც ერთ კონკრეტულ ოლიმპიურ თამაშებზე ერთბაშად რვა ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ფელპსამდე ერთგვარი რეკორდის მატარებელი ასევე ამერიკელი მარკ სპიცი გახლდათ, რომელმაც მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე (1972 წ.) შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა (მთლიანობაში ცხრაგზის ოლიმპიურ ჩემპიონად იწოდება. რედ.).

გარდა ამისა, ფელპს ოლიმპიური ოქროს მედლების რაოდენობითაც ერთგვარი რეკორდული მაჩვენებელი აქვს - 14 გზის ოლიმპიური ჩემპიონია!

წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი საკუთარი კარიერის განმავლობაში 32-ჯერ დაუმყარებია მსოფლიოს რეკორდი (26 ინდივიდუალურ და 6 საესტაფეტო გაცურვებში). ამგვარი მაჩვენებლით ფელპს ერთი რეკორდი აშორებს იმავე მარკ სპიცის შედეგთან, რომელსაც თავის დროზე 33-ჯერ გაუცურავს სარეკორდო დროში. ამასთან 17-გზის მსოფლიო ჩემპიონიცაა. ამ და სხვა შედეგების გამო ამერიკელი 2003, 2004, 2006 და 2007 წლებში ოთხჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო მოცურავედ (ამგვარი მაჩვენებლით ავსტრალიელ იან ტორპს გაუტოლდა).

დიდ ჩემპიონს ახლა რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა განუზრახავს. მართალია, მასში მონაწილეობას არ აპირებდა, მაგრამ დედის დაჟინებული თხოვნით გადაწყვეტილება მშობლის სასარგებლოდ შეცვალა. და იცით, რატომ? დედამ თხოვა, რომში არ ვყოფილვარ და თუ იქ გაემგზავრები მეც შენთან ერთად ვიქნებიო.

...წლეულს პეკინიში მიღწეული შედეგების გამო, ამერიკულმა ჟურნალმა "სპორტს ილუსტრეიტედმა" მაიკლ ფელპსი წლის სპორტსმენად აღიარა.

ამერიკული გამოცემა წლის სპორტსმენს ყოველწლიურად ავლენს. ნუსხა, რომელიც მუჰამედ ალის, ლენს არმსტრონგის, მაიკლ ჯორდანის, ჯეკ ნიკლაუსის, ტაიგერ ვუდსისა და იოჰან ოლაფ კოსის დარად არაერთ დიდ სახელს იტვეს, წლეულს 55-ედ გამოავლინა საკუთარი რჩეული. ჯგუფის რედაქტორის ტერი მაკდონელის აღიარებით, პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საუკეთესოს გამოვლენა თუ დასახელება ამერიკულ გამომცემლობას არ გასჭირვებია.

"მაიკლ ფელპსის 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენად დასახელება ჩვენთვის ყველაზე იოლი არჩევანი გამოდგა. შეხედეთ იმას, რაც მან გააკეთა პეკინში და მიხვდებით ვისთანაც გვაქვს საქმე. მის საარაკო გაცურვებს თავად ვადევნებდი თვალ-ყურს. გამარჯვებას გამარჯვება მოყვებოდა. აშკარაა, მან შეცვალა არა მარტო ცურვის სამყარო, არამედ მთლიანად ოლიმპიური თამაშები".

ისე, "სპორტს ილუსტრეიტედი" როგორც წესი, საუკეთესოს მარტო შედეგების მიხედვით არ ავლენს. საგამომცემლო ჯგუფი, ამა თუ იმ სპორტსმენის ხასიათს, ქარიზმას და საერთოდ, ადამიანურ თვისებებსაც ითვალისწინებს. ამერიკული ჟურნალი ასე ხელმძღვანელობს 1957 წლიდან.

და კიდევ, პირველი შემთხვევაა, როდესაც ჟურნალმა საკუთარი ისტორიის განმავლობაში საუკეთესო სპორტსმენად აღიარა მოცურავე. იგივე წოდებასთან ახლოს იყო იგივე მარკ სპიცი, მაგრამ ბოლოსკენ მას ჩოგბურთელი ბილი ჯინ კინგი ანაცვალეს.

"მართალი გითხრათ, ისევ იმ ადამიანად ვგრძნობ თავს რაც ვიყავი, - ჯილდოს მიღების შემდეგ აცხადებდა 23 წლის ფელპსი. - ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს. შევძელი იმის გაკეთება, რაც წლეულს დავისახე მიზნად. ეს იყო ოცნება, რომელმაც ფრთები შეისხა. ამაზე მეტს ვეღარ ვინატრებდი".

სპორტს ილუსტრეიტედისგან განსხვავებით კაცთა ჟურნალმა AskMen.com-მა ონლაინ გამოკითხვების შედეგად 2008 წლის ყველაზე გავლენიანი ადამიანების ნუსხა შეადგინა. ამ შემთხვევაში ფელპსმა რეიტინგის მესამე საფეხური დაიკავა (პირველზე ამერიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი ბარაკ ობამა გავიდა).

და კიდევ, აუზში საათობით ვარჯიშის პარალელურად ფელპს არაერთხელ მოუმარჯვებია კალამი და წიგნიც დაუწერია.

აი, ახლაც ამერიკელმა მოცურავემ საკუთარი ავტობიოგრაფიული წიგნი - გზა წარმატებისკენ ("Built to Succeed) დაწერა. წიგნში მოთხრობილია ვარჯიშის საკუთარ მეთოდზე და ასპარეზობებზე, მარტოხელა დედაზე და ბავშვობის დაავადებაზე. მოთხრობილია იმაზეც თუ როგორ ჩამოყალიბდა პიროვნებად.

გამომცემლებს იმედი აქვთ, რომ სუპერვარსკვლავის ახალი ნაშრომი ბესტსელერად იქცევა.

"ლივერპულთან" ისე, როგორც "ბეტისთან"

"რეალის" მეკარე იკერ კასილასი "ლივერპულთან" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის წინ აცხადებს: "ჩვენ მთლიანად ვიყავით კონცენტრირებული ესპანეთის ჩემპიონატზე. ახლა კი მოვიდა დრო, ჩემპიონთა ლიგითაც დავიტვირთოთ. ძალიან მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ ის ტემპი, რაც პრიმერადივიზიონში გვაქვს. "ბეტისთან" შაბათის მატჩი მართლაც ფანტასტიკური იყო. ასეთივე სიძლიერით უნდა ვითამაშოთ "ლივერპულთანაც". საჭიროა, არ გავუშვათ ბურთი საკუთარ მოედანზე, რათა "ენფილდ როუდზე" ორი კვირის შემდეგ უფრო ლაღად გავიდეთ სათამაშოდ. ბოლო ხანს განსაკუთრებულად მოუმატა დაცვამ. ვფიქრობ, დაცვის საიმედოობა გადამწყვეტი იქნება "ლივერპულთან" მატჩში. "ლივერპული" ღირსეული მოწინააღმდეგეა. ვფიქრობ, ჩვენი ორრაუნდიანი შერკინება შესანიშნავი სანახაობა იქნება," - ამბობს კასილასი.

არტეტასთვის სეზონი დასრულდა

ინგლისის ევერტონის ესპანელი ნახევარმცველი მიკელ არტეტა, რომელმაც პრემიერლიგის 26-ე ტურში ნიუკასლთან 0:0 დასრულებულ მატჩში მარჯვენა მუხლის ტრავმა მიიღო, სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ტრავმირებული მუხლის რამდენჯერმე სკანირებამ ექიმების მიერ თავდაპირველად დასმული დიაგნოზი დაადასტურა - ფეხბურთელს მუხლის ჯვარედინი მყესების აქვს განწყვეტილი.

26 წლის არტეტა ევერტონში 2005 წლიდან გამოდის და ინგლისის პრემიერლიგაში ჩატარებულ 117 მატჩში 17 გოლი გაიტანა.

კიდევ ერთი წლით "ლევერკუზენში"

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონას მიერ ლევერკუზენის ბაიერში გაქირავებული 22 წლის ბრაზილიელი მცველი ენრიკე, დიდი ალბათობით, მომდევნო სეზონსაც გერმანიაში გაატარებს.

ამის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ბარსას სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი კვირას დიუსელდორფში ლევერკუზენის ხელმძღვანელობას შეხვდა.

არადა, აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვით ბეგირისტაინსაც და კატალონიელთა მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას ძალიან უნდოდათ, 2008 წლის ივნისში პალმეირასისგან 8 მილიონ ევროდ შეძენილი ბრაზილიელი მცველი უკან დაებრუნებინათ.

Kicker -ი ახლაც ფიქრობს, რომ ბარსა ენრიკეს მაინც წაიყვანს, ოღონდ მის სანაცვლოდ ლევერკუზენს ურუგვაელ კასერესს დაუთმობს, რომელიც გასულ ზაფხულს ვილიარელიდან 16,5 მილიონ ევროდ გადაიყვანა.

კორკმაზმა სკიბე შეცვალა

თურქეთის გალათასარაის მთავარ მწვრთნელად მიხაილ სკიბეს ნაცვლად გუნდის ყოფილი კაპიტანი ბიულენტ კორკმაზი დანიშნეს.

კორკმაზმა, რომელიც აქამდე კაისარში , ბურსასფორში და გენჩლერში მუშაობდა, კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა.

ამპლუით მცველი კორკმაზი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში მხოლოდ გალათასარაიში გამოდიოდა. 1984-2005 წლებში თურქეთის ჩემპიონატში 630 მატჩი ჩაატარა და 19 გოლი გაიტანა.

1990-2005 წლებში თურქეთის ეროვნულ გუნდში მან 102 შეხვედრა გამართა და სამჯერ აიღო მეტოქის კარი.

სოლსკიაერმა ნორვეგიელები უარით გაისტუმრა

ინგლისური მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილმა ფორვარდმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ნორვეგიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელობაზე უარი განაცხადა და მანჩესტერელთა ახალგაზრდული გუნდის სამწვრთნელო შტაბში დარჩენა გადაწყვიტა.

ამის შესახებ სოლსკიაერმა Daily Mail-ს განუცხადა. არა მგონია, ამ ეტაპზე ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცობა სწორი ნაბიჯი ყოფილიყო, თუმცა, ასეთი შემოთავაზება დიდი პატივია. მანჩესტერში მუშაობით კმაყოფილი ვარ და მუშაობის ამ მიმართულებით გაგრძელებას ვაპირებ .

The New York Times offers a "window" to the world

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.

- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

AFP ' 2009

ჩეხეთის ლიბერეცის დათოვლილ ბილკებს მოთხილამურეები მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის სერავენ. სხვა მრავალთა შორის, ქალებში 1,3 კილომეტრზე (სპრინტი) თავისუფალი სტილით სათხილამურო რბოლა იტალიელი არიანა ფოლისის გამარჯვებით დასრულებულა. ფინიშის ხაზი მეორეს გადაუსერავს ამერიკელ კიკან რენდალს, რომელსაც ფეხდაფეხ მიყოლია ფინელი პირო მურანენი.
ეს ფოტო კი მაშინაა გადაღებული, როდესაც ფინელმა მეტოქეებზე დროებით ხელთ იგდო უპირატესობა.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი